

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი



იურიდიული ფაკულტეტი
სისხლის სამართალი

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
სამართლის მეცნიერებათა დოქტორი
თემურ ცქეტიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია
სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ვალერიანი ფორჩხიძე

ტელ: 598 47 47 61

ელ-ფოსტა: v.forchkhidze@gmail.com

თბილისი

2019 წ.

გამოყენებული აბრევიატურა

ა.შ. - ასე შემდეგ;

თბ. - თბილისი;

ე.წ. - ეგრეთ წოდებული;

მაგ. - მაგალითად;

გვ. - გვერდი;

იხ. - იხილეთ;

რედ. - რედაქტორი;

ე.ი. - ესე იგი;

გამომც. - გამომცემლობა;

წ. - წელი;

სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი;

სარჩევი

შესავალი -----	5.
თავი I. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობის ს -----	8.
1.1. თეორიები დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ -----	8.
1.1.1. „ოქროს ხიდის თეორია“-----	9.
1.1.2. „წახალისების თეორია“ -----	10.
1.1.3. „სასჯელის მიზნის თეორია“ -----	11.
1.2. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, როგორც სასჯელისგან განთავისუფლების პერსონალური საფუძველი და მისი გამიჯვნა მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი ვარემოებებისგან. -----	12.
თავი II. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური წინაპირობი -----	16.
2.1. განზრახვა, როგორც დაუმთავრებელი დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის ნიშანი და მისი მიმართება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის -----	16.
2.1.1. ევენტუალური განზრახვის დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი -----	19.
2.2. გადაწყვეტილების საბოლოობისა და ნებაყოფლობითობის განსაზღვრა დანაშაულზე სანახევროდ ხელის აღების შემთხვევებში. -----	23.
თავი III. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამიჯვნა ხელშეშლილი მცდელობისგან -----	28.
3.1. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფარგლები -----	28.
3.2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ხელშეშლილი მცდელობის დროს -----	32.
3.3. წარუმატებელი ხელის აღება -----	34.

თავი IV. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა ფორმალურ ანუ შედეგგარეშე დელიქტებში ----- 36.

4.1. ფორმალური დანაშაულის ცნება და მისი მიმართება დანაშაულის იურიდიულად და მატერიალურად დასრულებისთვის ----- 36.

4.2. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი ფორმალურ დანაშაულებთან მიმართებაში ----- 40.

თავი V. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისა და საფრთხის დელიქტების ურთიერთმიმართების საკითხი ----- 43.

5.1. საფრთხის შემქმნელი დელიქტების ცნება ----- 43.

5.2. საფრთხის შემქმნელ დელიქტებში ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა ----- 46.

5.3. ხელყოფის დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება და საფრთხის შემქმნელი დელიქტების დასჯადობის საკითხი ----- 48.

თავი VI. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი თანამონაწილეობით ჩადენილ დელიქტებში ----- 50.

6.1. დამხმარის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების საფუძვლები დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს ----- 50.

6.2. წამქეზებლის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების საფუძვლები დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს ----- 56.

6.3. ორგანიზატორის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების საფუძვლები დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს. --- 61.

თავი VII. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ----- 66.

დასკვნა ----- 75.

შესავალი

დღევანდელი გადმოსახედიდან თამამად შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმა გახლავთ სამართლებრივი აზროვნების განვითარების ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი. დანაშაულთან ბრძოლის სფეროში სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიერ იძულებით ხასიათის ღონისძებების გამოყენების კვალდაკვალ, კანონმდებელმა შემოიტანა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 21-ე მუხლი, რომლის თანახმადაც პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. ამდენად ეს ე.წ. „წამახალისებელი ნორმა“ გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ იწვევს პირის გათავისუფლებას მოსალოდნელი სასჯელისგან. თავისი ბუნებიდან გამომდინარე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სისხლის სამართლის კლასიკურ ინსტიტუტთა შორის. ეს უკანასკნელი უშუალოდ არის დაკავშირებული განზრახვი დანაშაულის ჩადენის სტადიებთან, კერძოდ დანაშაულის მომზადებასა და მისი ჩადენის მცდელობასთან, რომლებიც თავის მხრივ დაუმთავრებელი დანაშაულის ნიშნებია.

წინამდებარე ნაშრომში შევეხებით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების რაობას, არსს, განვიხილავთ სისხლის სამართლის დოგმატიკაში არნიშნულ საკითხთან გაბატონებულ თეორიებს, როგორცაა „ოქროს ხიდის“ იგივე „კრიმინალურ-პოლიტიკური“ თეორია, „შენჯალების“ ანუ „წახალისების“, თეორია და „სასჯელის მიზნის თეორია“. ასევე შევეხებით ხელის აღების წინაპირობებსა და საზღვრებს, განვიხილავთ და ვნახავთ არის თუ არა ამსრულებლის მიერ შედეგის თავიდან აცილება, პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების საკმარისი საფუძველი, განვსაზღვრავთ პირის ნებელობაზე გარეშე ფაქტორების ზემოქმედების შედეგებს და რა გადამწყვეტი როლი აქვს საბოლოობის საკითხს სსკ-ის 21-ე მუხლის შემადგენლობის დათუქნებისთვის. ნაშრომში ასევე საუბარი იქნება ევენტუალურის განზრახვით დანაშაულზე

ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობაზე, რაც დღემდე საკამათო თემაა მეცნიერ-იურისტთა შორის. ეს უკანასკნელი განხილული იქნება დანაშაულის მომზადებისა და დაუმთავრებელ/დამთავრებულ მცდელობასთან მიმართებაში, რადგან სწორედ მათი არაპირდაპირი განზრახვით განხორციელების შესაძლებლობაზე დამოკიდებული მითითებული სადაო საკითხის გადანაცვლება. გარდა ამისა ნაშრომში განხილული იქნება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების თავისებურებანი თანამონაწილეობით განხორციელებულ დელიქტებში.

მიუხედავად განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არაერთი სამეცნიერო კვლევის არსებობისა, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დღემდე რჩება სისხლის სამართლის მეცნიერ-იურისტთა შორის განხილვის ერთ-ერთ მთავარ საგნად. ნელ-ნელა და ეტაპობრივად სისხლის სამართლის კანონმდებლობა ხდება შედარებით ჰუმანური, და მაქსიმალურად ცდილობს სასჯელის მიზნების (რაც უმთავრესად გულისხმობს დამნაშავის რესოციალიზაციარეაბილიტაციის პოლიტიკას) პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობას. მაგრამ აღნიშნული არ უნდა განხორციელდეს თვით დაზარალებულის სამართლებრივი ინტერესების ხარჯზე. ერთმნიშვნელოვნად ზუსტად უნდა იქნეს შესწავლილი და დაცული ერთის მხრივ ამსრულებლის მიერ ნებაყოფლობით ხელის აღების ფარგლები, კერძოდ ამ უკანასკნელმა მაქსიმალურად ზუსტად უნდა იცოდეს ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე თუ სად გადის ხელის აღებისთვის გამყოფი წითელი ხაზი და მეორეს მხრივ დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა რომელიც არის კიდევ აღნიშნული მუხლის არსებობის მთავარის დაცვის ობიექტი. გარდა ამისა ნებაყოფლობით ხელის აღების არსის სწორად გაგებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომიჯნავე ინსტიტუტების, როგორცაა მაგალითად ქმედითი მონაწილეობა, ჩამოყალიბებისა და განსაზღვრისთვის. ამდენად განსახილველი საკითხი მეტად აქტუალურია საკანონმდებლო თვალსაზრისითაც.

საკვლევი თემის მიზანია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებების

ანალიზი, მათი შეპირისპირება და კონკრეტული დასკვნების გამოტანა, პრაქტიკაში ხელის აღების მუხლით კვალიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხების შეფასება, არაპირდაპირი განზრახვით ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხის განხილვა და პრობლემატურ შემთხვევათა განსხვავებული კუთხით წარმოჩენა. თავის მხრივ კი განსახილველი საკითხების კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება სამეცნიერო ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს, რაც გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით.

I. თავი

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობის საფუძველი

1. თეორიები დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ

ადამიანი, როგორც სოციუმში მცხოვრები არსება, ოდითგანვე იყო მიდრეკილი დანაშაულის ჩადენისკენ. მას ყოველთვის ჰქონდა ლტოლვა ისეთი ქმედება განეხორციელებინა, რაც ამ უკანსკნელს ნაკლები ძალისხმევის შედეგად უპირატეს მდგომარეობაში წარმოაჩენდა. ეს ხდებოდა მაშინაც როცა ერთი ადამიანის მკვლელობა დედამიწის მეოთხედის განადგურებას უდრიდა და მით უფრო ეხლა, როცა ქვეყნად შვიდ მილიარდზე მეტი ადამიანი ერთად თანაცხოვრობს. დღეს უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ადამიანს დანაშაულის ჩადენის გარეშე უბრალოდ არ შეუძლია, ვაშლის ქურდობით დაწყებული ტერორიზმით დამთავრებული, დანაშაული იყო კაცობრიობის განვითარების, თითოეული ეტაპის განუყოფელი ნაწილი. შედეგად ქართველი, ისევე როგორც სხვა ცივილიზებულ ქვეყანათა კანონმდებლები, მივიდნენ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო დანაშაულთა სისტემატიზაცია და მათი სრულყოფილად, ამომწურავად გადმოცემა.

დროთა განმავლობაში იცვლებოდა რა ადამიანის ცნობიერება და ცხოვრების სტილი, მოცემულობის სახით ვიღებდით ახალ და მრავალფეროვან დანაშაულებს. მაგალითისთვის ძველი რომაელებისა და ბერძნებისთვის სრულიად ბუნებრივია, რომ არ დადგებოდა დღის წესრიგში სატრანსპორტო ან სულაც კიბერდანაშაულზე მსჯელობის საკითხი. თუ პირობითად, ძველად შესაძლებელი იყო რომელიმე ცხოველი გაესამართლებინათ მის მიერ გამოწვეული ზიანისთვის, დღეს მსგავს პრეცედენტს ცივილიზებულ საზოგადოებაში ვეღარ შევხვდებით. ამის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი, რომლის ანალოგსაც სხვა მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსშიც

შევხვდებით. ამ უკანასკნელის დეფინიციიდან გამომდინარე „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამავე კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება“¹. მაშასადამე თანამედროვე გაგებით, დანაშაული წარმოადგენს ადამიანის, გონიერი ინდივიდის მიერ განხორციელებულ, კოდიფიცირებულ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას. თანაშაულთა პარალელურად მრავალფეროვანია დამნაშავეთა ბუნებაც. განსახილველ შემთხვევაში ჩვენი ინტერესის ობიექტს წარმოადგენს პიროვნება, რომელსაც რიგ შემთხვევებში არ აღმოაჩნდება შინაგანი მზაობა დაწყებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბოლომდე მისაყვანად და გარკვეულ ეტაპზე ხელს აიღებს დანაშაულის ჩადენაზე.

სსკ-ის 21-ე მუხლი ითვალისწინებს იმ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას ვინც ნებაყოფლობით აიღებს ხელს დანაშაულის ჩადენაზე. ამ ერთი შეხედვით მარტივ ჩანაწერთან დაკავშირებით იურიდიულ წრეებში განვითარდა რამდენიმე თეორია, რომელთაგანაც სისხლის სამართლის მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ შემდეგ სამ შეხედულებაზე. ესენია: „ოქროს ხიდის“ იგივე „კრიმინალურ-პოლიტიკური“ თეორია, „შენწყალების“ ანუ „ნახალისების“, თეორია და „სასჯელის მიზნის თეორია“

1.1.1. ოქროს ხიდის თეორია

აღნიშნული ხატოვანი გამონათქვამი ეკუთვნის გამოჩენილ გერმანელ იურისტს ა. ფოიერბახს, რომლის აზრითაც კანონმდებელი დამნაშავეს „ოქროს ხიდს“ უშენებს უკან დასაბრუნებლად იმ შემთხვევისთვის, თუ ეს უკანასკნელი უარს იტყვის დანაშაულის გაგრძელებაზე. განსახილველი პოზიციის თანახმად, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის პრივილეგიის მინიჭებამ მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეული საფრთხე. თუ კი დამნაშავეს გაუჩნდებოდა განცდა იმისა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მას დასჯიდნენ, და რადგანაც ერთხელ უკვე „ღრმად შესცურა დანაშაულებრივ მორევში“ მისგან თავის დაღწევის გზას ვერ დაინახავდა, ბუნებრივია რომ მას გაუმძაფრდებოდა სურვილი დაწყებული ქმედების ბოლომდე მისაყვანად.

¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მე-7 მ-ის პირველი ნაწილი

დამნაშავეთა ფსიქოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე რიგ შემთხვევებში თავდამსხმელად გვევლინება ისეთი პიროვნება, რომელიც თავისი იდეოლოგიითა და ხედვით ეწინააღმდეგება და ემიჯნება კიდევ დანაშაულებრივი საქმიანობას, მაგრამ გარკვეული ცხოვრებისული გადაცდომიდან გამომდინარე უშვებს კონკრეტული კანონგარეშე ქმედების განხორციელების შესაძლებლობას. სწორედ მსგავს ინდივიდებს უჩნდებათ ყველაზე ხშირად გადამწყვეტ მომენტში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სურვილი და „კრიმინალურ-პოლიტიკური“ თეორიის მიხედვით, სახელმწიფომ დამნაშავეს ხელის აღების შემთხვევაში სასჯელის გამოუყენებლობით გარკვეული სტიმული უნდა მისცეს, რათა მან შედეგი აიცილოს თავიდან”²

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ოქროს ხიდის” ანუ იგივე „კრიმინალ-პოლიტიკური” თეორიის წინააღმდეგ მრავალი არგუმენტი გაჩნდა სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში. საწინააღმდეგო პოზიციის მიხედვით როდესაც დამნაშავეს აქვს ცოდნა სახელმწიფოს მხრიდან ასეთი დათმობის შესახებ, იქ უკვე საეჭვოა, რომ დამნაშავემ გადანწყვიტოს კანონიერად მოქმედება, ვინაიდან სასჯელის მექანა აქ დანაშაულის უშუალო დაწყებისას უარყოფილია, ამიტომ ძნელია იმის პროგნოზირება, რომ დამნაშავე ნებაყოფლობით ხელის აღების მხედველობაში მიღებით, იხელმძღვანელებს სასჯელისგან განთავისუფლების მოტივით. ავტორთა ნაწილის აზრით „კრიმინალ-პოლიტიკური” თეორიის მიზანი მხოლოდ დანაშაულის თავიდან აცილებაა და იგი ნებაყოფლობით ხელის აღებაში ნებაყოფლობითობის აუცილებლობას ვერ ხსნის.³ თუმცა მიუხედავად ყველაფრისა აღნიშნული თეორია, სხვა თეორიებისგან განხვავებით, ყველაზე უკეთ ხსნის დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მნიშვნელობას. ის საშუალებას აძლევს ქმედების ჩამდენს, ოქროს ხიდის „დახმარებით” დაუბრუნდეს სწორედ განხორციელებულ ქმედებამდელ სამართლებრივ მდგომარეობას.

1.1.2. წახალისების თეორია

² ხარანაული ლ., დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ხელმძღვანელი: მ. ტურავა თბილისი, 2013, გვ. 321

³ იხ. იქვე. გვ. 322

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხს, იცავს არა იმდენად დანაშაულებრივი ქმედების განმახორციელებელ პირს, არამედ მეტწილად გვევლინება დაზარალებულის უფლებათა გარანტორად. თავის მხრივ იქნება ეს დამნაშავესთვის აგებული „ოქროს ხიდი“, „წახალისების“ იგივე „შენწყალების“ თეორიის მიხედვით ამ უკანასკნელისთვის გაკეთებული „საჩუქარი“ თუ „სასჯელის მიზნის თეორიის“ მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება, პირველ რიგში ემსახურება დაზარალებულის ინტერესებს და მის დაცვას. „წახალისების თეორია“ კი თავისი არსით, კერძოდ დამნაშავეს ქცევის წახალისებით, აქ იგულისმება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მომენტი, დაზარალებულის დაცვის ხაზს კი არ მიჰყვება, არამედ თავად დამნაშავეს პიროვნებას აყენებს შეფასების ცენტრში.⁴ შედეგად, დამნაშავეს მიერ სამართლებრივ სიკეთის ხელყოფაზე უარის თქმა და ამ გზით კანონიერების ფარგლებში დაბრუნება, მართალია განსახილველი თეორიის მიხედვით კი იმსახურებს ქმედების განმახორციელებელი პირის დასაჩუქრებას, მაგრამ მეორეს მხრივ საბოლოოდ მაინც ღიად ტოვებს სასჯელისგან განთავისუფლების საფუძველს და შინაარსობრივად არათერს ამბობს იმაზე, თუ რატომ უნდა დარჩეს დაუსჯელი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება.

1.1.3. სასჯელის მიზნის თეორია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „სასჯელის მიზანია, სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია.“⁵ ოდნავ განსხვავებულადაა სასჯელის მიზნები მოწესრიგებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში რისი მთავარი მიზნებიც დამნაშავეს სპეციფიკურ

⁴ ხარანული ლ., დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ხელმძღვანელი: მ. ტურავა თბილისი, 2013, 322

⁵ სსკ-ის 39-ე მ-ის პირველი ნაწილი

ბუნებაში უნდა ვეძებოთ. ნებისმიერ შემთხვევაში „სასჯელის მიზნის თეორია“ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხს, სწორედ ზემოთდასახელებულ მიზანთა პარალელურად განიხილავს. აღნიშნული თეორიის თანახმად, ვინაიდან დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტისას დამნაშავე ლეგალურ პოზიციას უბრუნდება და მისი დანაშაულებრივი ნება ისეთი ძლიერი აღარ არის, როგორც ეს დანაშაულის განხორციელებისას იქნებოდა, მისი დასჯის საკითხი აქტუალობს კარგავს, როგორც დამნაშავის მხრიდან მომავალში დანაშაულის კვლავ ჩადენის თვალსაზრისით ისე სამართლიანობის აღდგენისა და რესოციალიზაციის თვალსაზრისითაც.⁶

1.2. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, როგორც სასჯელისგან განთავისუფლების პერსონალური საფუძველი და მისი გამიჯვნა მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებებისგან.

რაოდენ ცივისისხლიანიც არ უნდა იყოს დამნაშავე, დანაშაულის ჩადენის დროს არის რამდენიმე წამიანი მომენტი როდესაც ის აუცილებლად კითხავს საკუთარ თავს თუ რამდენად ღირს იმის გაკეთება რასაც სჩადის. ზოგ ადამიანში ეგ კითხვა მეტად იწვევს დაკვირვებას, ზოგთან ნაკლებად. თუ ამ აკანასკნელს ეცოდინება, რომ მის მიერ გასროლილი ტყვია მსხვერპლს მოხვდა და დაიჭრა, ხოლო ვინაიდან უკვე დაჭრა სახეზე გვაქვს მას უკან დასახევი გზა აღარ რჩება, აუცილებლად გაუჩნდება დანაშაულის ბოლომდე მიყვანის სურვილი, რაც დიდი ალბათობით მსხვერპლის გარდაცვალებით დასრულდება. ის დაეჭვების მომენტი, რომელიც დამნაშავეს აბრკოლებს დანაშაულებრივი ქმედების ბოლომდე განხორციელებაზე სიმძაფრეს დაკარგავს და არსებით გავლენას ვეღარ მოახდენს სურათის განვითარებაზე. ამდენად კანონმდებელმა საქართველოს სსკ-ში შემოიტანა 21-ე მუხლის სახით ერთგვარი წამახალისებელი (მასტიმულირებელი) ნორმა, რომლის თანახმადაც დანაშაულის ბოლომდე არ მიყვანის გამო პირს ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. მთავარი და ამოსავალი აღნიშნული ნორმისთვის

⁶ ხარანაული ლ., დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ხელმძღვანელი: მ. ტურავა თბილისი, 2013, 323

გახლავთ სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა, ეს უკანასკნელი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელი ყურადღებას არ ექცევს ხელის აღების მოტივს, განხორცილდება ეს სასჯელის შიშით თუ დამნაშავეში ადამიანური გრძნობების გაღვიძებით.

ის ფაქტი რომ „არ არსებობს დანაშაული სასჯელის გარეშე“ შეიძლება ითქვას, რომ მთელი იურისპრუდენციის ხერხემალს წარმოადგენს. ყოველი კონკრეტული დანაშაულისთვის განკუთვნილია შესაბამისი, სასჯელი, რომლის გარდაუვალობაც ეჭვქვეშ არ უნდა დადგეს, მაგრამ ერთის მხრივ სასჯელის მიზნებიდან, ხოლო მეორეს მხრივ მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებებიდან გამომდინარე შესაძლებელია, რომ პირის მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ხასიათის ქმედება, სახელმწიფოს მხრიდან სასჯელის სახით, იძულებითი ღონისძიების გამოყენების სავალდებულობას არ მოითხოვდეს. სსკ-ის მე-8 და მე-9 თავები ეხება სწორედ მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა შემთხვევებს. ამ ეტაპზე სრულიად ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ვინაიდან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მომენტში არ დგება პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, ხომ ამ არ არის ეს უკანასკნელი მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება? ამ კითხვაზე პასუხი ის იშვიათი შემთხვევაა, რომელიც ორ იურისტში სამ აზრს არ აღძრავს და ცალსახად ყველა თანხმდება იმაზე, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება უფრო პირის სასჯელისგან გათავისუფლების პერსონალური საფუძველია ვიდრე ზემოთაღნიშნულ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობათა გამომრიცხველი რომელიმე გარემოება. პირველ რიგში ფორმალურად მართლსაწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედობა იმავდროულად ყოველთვის არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ უმართლობას, ვინაიდან არსებობს მთელი რიგი გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში ქმედების შემადგენლობის შესაბამისი მოქმედების ან უმოქმედობის განხორციელება, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მართლწინააღმდეგობის ხელყოფად. მაგალითისთვის ვინც ადამიანს განზრახ სიცოცხლეს მოუსპობს, მოქმედებს ფორმალურად მართლსაწინააღმდეგოდ, მაგრამ თუ ეს ქმედება განხორცილდება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, როცა პირი თავს იცავდა ყაჩაღური თავდასხმისგან, იგი უნდა ჩაითვალოს მართლზომიერად. ყაჩაღობის მსხვერპლი არ მოქმედებს მატერიალურად მართლსაწინააღმდეგოდ. ქმედება მხოლოდ მაშინ არის მატერიალურად მართლსაწინააღმდეგო, როცა იგი მართლწინააღმდეგობის

არცერთი გარემოებით არ შეიძლება იქნას გამართლებული.⁷ მაშასადამე კონკრეტულ მომენტში საქმე არ გვაქვს მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან ფართო გაგებით, განსხვავებით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევიდან სადაც მართალია მართლსაწინააღმდეგო ქმედება განხორციელებულია, მაგრამ დანაშაულის ბოლომდე არ მიყვანის გამო სახელმწიფო ათავისუფლებს პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. ავტორთა ნაწილი თვლის, რომ მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა ფარგლებში მოქმედება, მიუხედავად თავად ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიითისა არ ქმნის ქმედების განმახორციელებელ პირს საზოგადოებრივად საშიშ პერსონაჟად, განსხვავებით ხელისაღების შემთხვევისგან როდესაც, პირი განზრახ არღვევს ქცევის შესასრულებლად ზოგად სავალდებულო წესებს და წარმოადგენს მომეტებულ საფრთხის წყაროს როგორც კონკრეტულად დაზარალებულისთვის, ისე სხვა გარშემომყოფი პირებისთვის.⁸

რაც შეეხება ბრალის გამომრიცხველ გარემოებებთან ურთიერთმიმართების საკითხს უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა მსგავსად არც ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა ამომწურავ ჩამონათვალს იძლევა. მიუხედავად ამისა განსახილველი საკითხი სცდება ბრალის გამომრიცხველ ზეკანონური გარემოების ჩამონათვალსაც კი. სსკ-ის 38-ე მუხლი შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „ბრალეულად არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს სხვა ისეთი გარემოებების არსებობისას, რომელიც თუმცა ამ კოდექსით სახელდებით არ არის მოხსენიებული, მაგრამ სავსებით აკმაყოფილებს ამ ქმედების არაბრალეულობის პირობებს.“⁹ ის ფაქტი რომ ამ მუხლით კანონმდებელი არ ასახელებს კონკრეტულად თუ რა გარემოებაა აქ ნაგულისხმევი არ გვაძლევს იმის თქმის საფუძველს რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მოვაქციოთ ისეთ მოქმედებათა კატეგორიაში, როგორიცაა თუნდაც ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოებანი. ბრალუწარჩინების დროს, როდესაც პირის შეურაცხაობის გამო ბრალეული გაკიცხვა საერთოდ არ ხდება საპატიებელი გარემოებანი წარმოადგენს ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც პირს, განსაკუთრებული იდივიდუალური მდგომარეობის გამო, რა ვითარებაშიც მის მიერ ჩაენილი იქნა ესა თუ ის

⁷ ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა თბ. 2013 გვ. 178

⁸ წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი II., თბ. 2007 გვ. 534

⁹ სსკ-ის 38-ე მუხლი

მართლსაწინააღმდეგო ქმედება, სამართლებრივი სიკეთის დაზიანება ან განადგურება მხოლოდ ეპატიება (მიეტევება).¹⁰ სწორედ ეს უკანასკნელი ფაქტორი განაპირობებს მის მსგავსებას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან. მაგრამ როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმა არის წამახალისებელი (მასტიმულირებელი) ნორმა, რომლის დროსაც პირი დანაშაულის მომზადების ან მცდელობის შემადგენლობას ანხორციელებს მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად ე.ი. ჩადის დანაშაულს, თუმცა არ ისჯება სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანებიდან და მიზნებიდან გამომდინარე რათა დანაშაულის ბოლომდე არ მიყვანით დაცულ იქნას მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთე.

¹⁰ ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა თბ. 2013 გვ. 220

II. თავი

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური წინაპირობები

2.1. განზრახვა როგორც დაუმთავრებელი დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის ნიშანი და მისი მიმართება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის

დანაშაული შესაძლოა იყოს როგორც დამთავრებული ისე დაუმთავრებელი. „სისხლის სამართალში კარგა ხანია აღიარებულია, რომ დანაშაულის დამთავრების მომენტი პირობითია და დანაშაულის შემადგენლობის საკანონმდებლო ცნებაზეა დამოკიდებული“¹¹ მაგალითისთვის მკვლელობის შემადგენლობები ქმედებას დამთავრებულად სამართლებრივი სიკეთის დაზიანების სტადიაზე აცხადებენ განსხვავებით ყაჩაღობის მუხლის საკანონმდებლო დეფინიციისგან. ნებისმიერ შემთხვევაში კანონმდებელი დანაშაულად თვლის არა მხოლოდ დამთავრებულ არამედ დაუმთავრებელ დანაშაულსაც. ეს უკანასკნელი სახეზე გვაქვს მაშინ როდესაც პირმა თავისი დანაშაულებრივი განზრახვა ან მხოლოდ ნაწილობრივ, საერთოდ ვერ (ანდა ბოლომდე ვერ) განახორციელა.¹²

თავის მხრივ დანაშაული შესაძლოა ჩადენილ იქნეს, როგორც განზრახ ისე გაუფრთხილებლობით. სსკ-ის მე-9 მ-ის მეორე და მესამე ნაწილები გვაძლევს განზრახი დანაშაულის დეფინიციას, რომლის თანახმადაც ქმედება განზრახაა

¹¹ ქ. მშედლიშვილი-ჰედრიხი., დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მერიდიანი, თბილისი 2013 გვ. 11

¹² იხ. იქვე.

ჩადენილი თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და ერთ შემთხვევაში სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას (პირდაპირი განზრახვა) ან მეორეს მხრივ არ სურდა ეს შედეგი მაგრამ შეგნებულად უშვებდა, გულგრილად ეკიდებოდა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას.¹³ როგორც წესი განზრახვი დანაშაული, კოგნიტური ელემენტის მაღალი შემცველობის გამო ბევრად უფრო საშიში და მომეტებული საფრთხის წყაროა საზოგადოებისთვის. დამნაშავე ასეთ დროს, როგორც მუხლის დეფინიციიდან ჩანს გაცნობიერებულად სჩადის დანაშაულებრივ ქმედებას და უარეს შემთხვევაში ის მიისწრაფვის კიდევ სავალალო შედეგის დადგომისკენ. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ დანაშაულის ჩადენა გულისხმობს არა მხოლოდ განზრახვი ან გაუფრთხილებლობითი ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებას, არამედ არსებობს ასევე განზრახვი დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა, რომელიც თავის თავში მოიცავს განზრახვას და განზრახვი დანაშაულის სხვა სუბიექტურ ნიშნებს.¹⁴ დაუმთავრებელი დანაშაულის დროს მეტი აქცენტი სწორედ სუბიექტურ შემადგენლობაზე კეთდება. ასეთ დროს ობიექტური შემადგენლობა სრულად არ არის განხორციელებული, მარტივად რომ ვთქვათ სრულყოფისთვის რაღაც აკლია და ეს რაღაც სწორედ ის დანაშაულებრივი შედეგის არ ქონაა რომლისკენაც მიისწრაფვოდა ქმედების ჩამდენი პირი. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული დაუმთავრებელი დანაშაულის დროს პირმა თავისი დანაშაულებრივი განზრახვა ან მხოლოდ ნაწილობრივ, საერთოდ ვერ (ანდა ბოლომდე ვერ) განახორციელა. მაშასადამე სახეზე გვაქვს ან დანაშაულის მომზადება, როდესაც პირმა განზრახ შექმნა გარკვეული პირობები ქმედების განსახორციელებლად, ან და დანაშაულის მცდელობა, როდესაც ეს უკანასკნელი მართალია ანხორციელებს კონკრეტულ განზრახვი ქმედებას, რომელიც

¹³ სსკ-ის მე-9 მ-ის მეორე და მესამე ნაწილები

¹⁴ ტურავა. მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა თბ. 2013 გვ,

უშუალოდაა მიმართული დანაშაულის ჩადენისკენ მაგრამ დანაშაული ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. ვინაიდან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დაუმთავრებელი დანაშაულის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმაა, ამ უკანასკნელის სუბიექტური შემადგენლობის თავისებურებანი ასახვას პოვებენ ხელის აღების შემთხვევებშიც.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია როგორც მომზადების ისე მცდელობის სტადიაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმა შეზღუდულია მომზადებისა და მცდელობის სტანდარტებით.¹⁵ „დანაშაულის მომზადების დროს სუბიექტური მხარე მოიცავს დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნის და დანაშაულის შემადგენლობის (თუ შემადგენლობა შედეგს მოიცავს, მაშინ დანაშაულებრივი შედეგის) განხორციელებისკენ მიმართულ განზრახვას“¹⁶ და ეს საერთოა ნებაყოფლობით ხელის აღებისთვისაც. რაც შეეხება მცდელობის სუბიექტურ მხარეს ამ ეტაპზე ყურადღება ექცევა ქმედების განზრახვის ხარისხს. პირდაპირი განზრახვით მოქმედებს დამნაშავე თუ ევენტუალური. არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობა აზრთა სხვადასხვაობს იწვევს მეცნიერ-იურისტთა შორის. პროფესორი მერაბ ტურავა მიუთითებს, რომ ევენტუალური განზრახვის დროს მართალია პირს საკანონმდებლო დეფინიციიდან გამომდინარე არ სურს დამდგარი შედეგი მაგრამ ნებელობის ხარისხის განულება არასწორი იქნებოდა.¹⁷ თუმცა ასეთ დროს გვერდს ვერ ავუვლიდით სურვილის ნორმატიული გაგებით დეფინიციის საკითხს, რაც ფაქტობრივად წაშლიდა განსხვავებას პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვათა შორის. სამართლიანად მიუთითებს თ. ცქიტიშვილი როცა აღნიშნავს, რომ სურვილი მხოლოდ ფსიქოლოგიური შინაარსის კატეგორიაა და ნორმატიულ დარგში მისი გარკვეული მნიშვნელობის მიუხედავად, იგი ვერ გადაიქცევა ნორმატიულ კატეგორიად. ასევე ისეთი ცნებები,

¹⁵ *Leipziger Kommentar StGB*, მე-12 გამოცემა, ტომი I, §§1-31, Berlin, 2007. გვ. 1811

¹⁶ ე. მშედლიშვილი-ჭედრიხი., დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მერიდიანი, თბილისი 2013 გვ. 33

¹⁷ ტურავა. მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა თბ. 2013 გვ.

როგორებიცაა: სურვილი, მიზანი, მოტივი, გადანწყვეტილება მხოლოდ ფსიქოლოგიურად შეიძლება აიხნას. იქ სადაც გარკვეული შედეგის გამოწვევის სურვილი (თავისი ბუნებრივი მნიშვნელობით) არ არსებობს, მისი არსებობა ნორმატიულად ვერ დასაბუთდება.¹⁸ რაც შეეხება მიზანსა და მოტივს დაუმთავრებელი დანაშაულისთვისაც ის შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ, ხარვეზი დამახასიათებელია არა სუბიექტურ არამედ ობიექტური მხარის ნაწილში, როდესაც პირი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით უშედეგოდ შეეცდება სხვისი ნივთის ფარულად დაუფლებას. აქ რომ ხარვეზი ყოფილიყო სუბიექტურ ნაწილში და კითხვის ნიშნის ქვეშ დამგარიყო მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის არსებობა სათუო იქნებოდა მსჯელობა კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის შესახებ. ამდენად ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე განზრახვას, როგორც სუბიექტური მხარის ნიშანს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დაუმთავრებელი დანაშაულის განხილვის დროს.

2.1.1. ევენტუალური განზრახვის დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი

დაუმთავრებელი დანაშაული მოიცავს დანაშაულის მომზადებას და მცდელობას. იქ სადაც დინამიკური განვითარების შედეგად ქმედება გასცდა მცდელობის სტადიას და მივიღეთ დანაშაულებრივი შედეგი, საფუძველს კარგავს დაუმთავრებელ დანაშაულსა და შესაბამისად დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაზე საუბარი. (აქ არ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როცა ქმედების დამთავრებულ დანაშაულად გამოცხადება სამართლებრივი შედეგის დადგომას არ მოითხოვს) მაშასადამე ხელის აღების საკითხიც განხილულ უნდა იქნას სწორედ მომზადებისა და მცდელობის ეტაპზე. აღნიშნული დასაბამს ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან იღებს, რად როსაც მედატ მნიშვნელოვანი მიდგომები იყო

¹⁸ ცქიტიშვილი თ., ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის., უურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ 2014, №4

დაფიქსირებული განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად ავტორთა ერთი ნაწილი დასაშვებად თვლიდა ევენტუალური განზრახვით მცდელობის განხორციელების შესაძლებლობას¹⁹ და მიუთითებდა შედეგისადმი ნებელობითი ელემენტის არსებობაზე. გაბატონებული მოსაზრების თანახმად კი დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია განხორციელებულიყო მხოლოდ პირდაპირი განზრახვით,²⁰ მაგრამ ისეთებიც იყვნენ, ვინც მართალია უშვებდნენ არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის განხორციელების შესაძლებლობას, თუმცა მისი დასჯადობის საკითხს პრაქტიკული თვალსაზრისით გაუმართლებლად მიიჩნევდნენ.²¹ იურიდიულ ლიტერატურაში ასევე საკამათოა საკითხი ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის განხორციელების შესახებ. როგორც ზემოთ იქნა განხილული, სსკ-ის მე-9 მ-ის საკანონმდებლო დეფინიციიდან ჩანს, რომ დანაშავე ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ არ სურდა ეს შედეგი. თ. წერეთლის აზრით შეუძლებელია, წარმოუდგენელია ადამიანმა დანაშაულის ჩასადენად პირობები მოამზადოს და მას არ სურდეს ეს შედეგი. დანაშაულის ჩადენის დაუკონკრეტებელი სურვილი, მიუხედავად იმისა, რომ პირმა ობიექტური პირობები დანაშაულის ჩასადენად უკვე მოამზადა (იყიდა იარაღი მისი დანაშაულებრივი საქმიანობისთვის გამოსაყენებლად) ანდა ზოგადი საუბარი მომავალში დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის შესახებ არ შეიძლება დანაშაულის მომზადების სუბიექტურ მხარედ ჩაითვალოს²² თუმცა საპირისპირო მოსაზრებასაც ჰყავს თავის მომხრეები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ვინაიდან პირდაპირი განზრახვა ყოველთვის მიზნით არ არის დეტერმინირებული შესაძლებელია რომ დანაშაულის მომზადება განხორციელდეს არაპირდაპირი განზრახვითაც.²³

კიდევ უფრო საკამათოა ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის განხორციელების საკითხი. ვიცით, რომ ზოგადად განზრახვა შედგება

¹⁹ *Лившиц В. К.*, К вопросу о понятии эвентуального умысла, «ურნალში: Советское государство и право» №7, 1947., გვ. 43

²⁰ *Трайнин А.Н.*, Общее учение о составе преступления, Москва, 1957., გვ.319-320.

²¹ *Лясс Н. В.*, Стадии преступной деятельности по советскому уголовному праву, Автореферат диссертации, Ленинград, 1952. გვ. 6.

²² ქ. მშედლიძე-შედრიანი., დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მერიდიანი, თბილისი 2013 გვ. 33-34

²³ ხარანაული ლ., დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ხელმძღვანელი: მ. ტურავა თბილისი, 2013, გვ. 58

როგორც კოგნიტური (ინტელექტუალური) ისე ვოლუნტატური (ნებელობითი) ელემენტისგან. სწორედ ნებელობა და შედეგის არ დადგომის სურვილი განასხვავებს ერთმანეთისგან პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვებს. სსკ-ის მე-9 მ-ის მეორე ნაწილის დეფინიციაში კანონმდებელი ცალსახად მიუთითებს მოქმედის მიერ შედეგისადმი სურვილის არ ქონაზე, რაც თავის მხრივ გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ კანონმდებელმა იმთავითვე გამოორიცხა შედეგისადმი ნებელობითი კომპონენტი, მაგრამ მცდელობის ევენტუალური განზრახვით შესაძლებლობის მომხრეები მიუთითებენ სურვილის ნორმატივიზაციაზე და ამით ნებელობას განიხილავენ ფართო გაგებით. მაშინ სრულიად ბუნებრივად ისმება კითხვა თუ რა აუცილებლობითაა გამონვეული, რომ სურვილი გავიგოთ ნორმატიულად და სურვილის არსებობა დავადასტუროთ მაშინ, როცა სურვილი მისი ბუნებრივი სახით არ არსებობს?²⁴ ფაქტია, რომ ამის საფუძველები სურვილის ნორმატიზების შედეგად ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობაში უნდა ვეძებოთ. გასაზიარებელია თ. ცქეტიშვილის მოსაზრება, რომ სურვილი მხოლოდ ფსიქოლოგიური შინაარსის კატეგორიაა და ნორმატიულ დარგში მისი გარკვეული მნიშვნელობის მიუხედავად, იგი ვერ გადაიქცევა ნორმატიულ კატეგორიად. ასევე ისეთი ცნებები, როგორებიცაა: სურვილი, მიზანი, მოტივი, გადაწყვეტილება მხოლოდ ფსიქოლოგიურად შეიძლება აიხნას. იქ სადაც გარკვეული შედეგის გამონვევის სურვილი (თავისი ბუნებრივი მნიშვნელობით) არ არსებობს, მისი არსებობა ნორმატიულად ვერ დასაბუთდება.²⁵ აქვე ყურადღება უნდა მიექციოს იმ ფაქტს, რომ სსკ-ის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „დანაშაულის მცდელობად ითვლება ისეთი განზრახვი ქმედება, რომელიც უშუალოდ იყო მიმართული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.“²⁶ როგორც ო. გამყრელიძე აღნიშნავს ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის განხორციელების წინააღმდეგ არის სწორედ მცდელობის დეფინიციაში მოცემული სიტყვები: „უშუალოდ“ და „მიმართული.“²⁷ აპელირება იმაზე, რომ დღეს მოქმედი კოდექსის თავდაპირველი ვარიანტი დათქმას აკეთებდა მცდელობის განხორციელების პირდაპირი განზრახვით შესაძლებლობაზე, ხოლო ახალ კოდექსში ასეთი დათქმის ამოღება ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის დასაშვებობას

²⁴ ცქეტიშვილი თ., ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის., ურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ 2014, №4

²⁵ იხ. იქვე

²⁶ სსკ-ის მე-19 მ-ის პირველი ნაწილი

²⁷ გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები III ტომი, 2013 გვ. 245

გულისხმობს²⁸ მართებულად არ მიმაჩნია. მცდელობის მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე მცდელობა განმარტებულია, როგორც დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ მიმართული ქმედება, რაც მხოლოდ პირდაპირ განზრახვას ახასიათებს.²⁹ ევენტუალური განზრახვის დროს პირს დანაშაულებრივი შედეგის დადგომის მიზანი არ აქვს, მაშინ როცა ეს უკანაკნელი მცდელობის დამფუძნებელი ელემენტია.³⁰ ამდენად უშუალოდ მიმართული ქმედება ისედაც გულისხმობს რა პირდაპირი განზრახვის არსებობას, კანონმდებელმა მიზანშეწონილად აღარ ჩათვალა დამატებით მცდელობის განხორციელების პირდაპირი განზრახვის ნორმის სტრუქტურაში გადმოცემა. პირიქით, იმისათვის, რომ კანონმდებელს არ დაეტოვებია რაიმე კითხვები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კოდექსში შემოტანილ იქნა საფრთხის შემქნელი დელიქტები, რომლებმაც ასახვა პოვა 127-ე, 128-ე მუხლებში სადაც საუბარია სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებასა და განსაცდელში მიტოვებაზე. გარდა ამისა ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობა ეჭვქვეშ დააყენებდა სსკ-ის 117-ე მუხლის შემადგენლობასაც, კერძოდ თუ კანონმდებელი დაუშვებდა მცდელობის განხორციელების შესაძლებლობას როგორც პირდაპირი ისე არაპირდაპირი განზრახვით მაშინ სხეულის სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანების არსებობა აზრს დაკარგავდა. მსგავსი პრობლემებისა და ქმედების არასწორად კვალიფიკაციის საფრთხეებს თავად ევენტუალური განზრახვით მცდელობის განხორციელების მომხრეებაც ხედავენ. უფრო მეტიც მ. ტურავას ინიციატივით სასურველია თუ განხორციელდება საკანონმდებლო ცვლილება და ევენტუალური განზრახვის კატეგორიის უარყოფით შემოტანილ იქნას ახალი სამართლებრივი ფიგურა, რომელიც გააერთიანებს არაპირდაპირ განზრახვასა და თვითმედლოვნებას, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „დანაშაულებრივი გულგრილობა.“³¹ თუმცა სამართლიანად შენიშნავს თ. ცქიტიშვილი, რომ განზრახვის ცნებიდან ევენტუალური განზრახვის გატანის წინადადება კიდევ უფრო

²⁸ ტურავა. მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა თბ. 2013 გვ. 139

²⁹ გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები III ტომი, 2013 გვ. 245

³⁰ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. სახელმძღვანელო, გ. ნაჭყეპიას და ი. დვალისის რედაქტორობით, თბილისი, 2007, გვ. 284

³¹ ტურავა. მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა თბ. 2013 გვ. 141

ეჭვქვეშ აყენებს იმ დებულების მართებულობას, რომლის თანახმად დანაშაულის მცდელობა შესაძლებელია არაპირდაპირი განზრახვითაც.³²

ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია რა მხოლოდ მომზადებისა და მცდელობის სტადიაზე, ხოლო მომზადებისა და მცდელობის განხორციელება შეუძლებელია ევენტუალური განზრახვით, ბუნებრივია, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაც შეუძლებელია განხორციელდეს ევენტუალური განზრახვით.

2.2. გადანწყვეტილების საბოლოობისა და ნებაყოფლობითობის განსაზღვრა დანაშაულზე სანახევროდ ხელის აღების შემთხვევებში.

კანონმდებელი გარდა შედეგის თავიდან აცილების სავალდებულობისა დამნაშავეს უწესებს სხვა პირობასაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან განთავისუფლების სანაცვლოდ. კერძოდ მის მიერ განხორციელებული შედეგის არ დადგომისკენ მიმართული „გამოსასწორებელი“ ქმედება, განხორციელებული უნდა იყოს ნებაყოფლობით. სხვა გარეშე ძალების ზემოქმედება დამნაშავეს ნებაზე უარყოფითად იქნება აღქმული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების დროს. ყველაზე მეტად პრობლემური პრაქტიკაში სწორედ დანაშაულის შეწყვეტის ნებაყოფლობითობის საკითხია, რომელიც თავის მხრივ მჭიდრო კავშირშია დანაშაულის შეწყვეტის მოტივთან. დანაშაულის მხილების კონკრეტული შიშით გამოწვეული ხელის აღების ფაქტის დაუსჯელად წარმოჩინება, იქნებოდა განსახილველი ინსტიტუტის ფართო და ჩემი აზრით არასწორი ინტერპრეტაცია, რამდენადაც დანაშაულის ადგილთან ახლოს საპატრულო ეკიპაჟის შემთხვევითმა გამოჩენამ, ან ფაქტობრივი გარემოებების დამნაშავეს და დამოუკიდებლად რადიკალურად ცვლილებამ, არ უნდა მისცეს ამ უკანასკნელს სასჯელისგან გათავისუფლების გარანტია. ხელის აღება მაშინ გვაქვს როცა სუბიექტს სრული შესაძლებლობა აქვს მისივე წარმოდგენით ბოლომდე განახორციელოს დანაშაულებრივი განზრახვა, მაგრამ გადანწყვეტს, რომ ხელი

³² ცქიტიშვილი თ., ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის., უურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ 2014, №4

აილოს მასზე. თავის მხრივ ეს უკანასკნელი შესაძლოა განპირობებული იყოს არაზნეობრივი მოტივით, მაგრამ აღნიშნული იურიდიული თვალსაზრისით პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს. „მ.ვ. ლიასის აზრით, ყველა მოტოვი, რომლებითაც სუბიექტი ხელმძღვანელობდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას, ერთნაირი მნიშვნელობისაა, რამდენადაც მათ მიიყვანეს პიროვნება დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღებამდე, რაც მოცემულ მომენტში მოწმობს მასში დანაშაულებრივი განზრახვის არ არსებობას და აღმოფხვრის მის საზოგადოებრივ საშიშროებას.“³³ თუმცა ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივი საშიშროების თვალსაზრისით აქვს განსხვავება პირი დანაშაულზე ხელს სასჯელის შიშის გამო იღებს თუ რელიგიური გრძნობებიდან გამომდინარე, რამდენადაც მათი აზრით ამ უკანასკნელზე დიდწილადაა დამოკიდებული დანაშაულებრივი ქმედების კვლავ განმეორების საშიშროება. ამდენად ნებაყოფლობით ხელის აღების მომენტში მნიშვნელოვანია, რომ სუბიექტის არჩევანი და მისი შემდგომი მოქმედება იყოს თავისუფალი და ნაკლებად ზემოქმედებადი გარეშე ფაქტორებიდან.

შემდეგი და აუცილებელი მოთხოვნა რაც გახლავთ არის ის, რომ გამოვლენილი ნება უსათუოდ უნდა იყოს საბოლოო, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე უარის თქმა უნდა იყოს არა დროებითი, არამედ მუდმივი. განზრახვის გადაღება მომდევნო დღისთვის უკეთესი პირობების შექმნის მოლოდინით სამართლიანად არ მიიჩნევა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობიდან განთავისუფლების საკმარის საფუძვლად. დ. სულაქველიძეს აზრით დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღებად უნდა ჩაითვალოს სუბიექტის მიერ მისგან დაწყებული დანაშაულებრივი ქმედების შემდგომ გაგრძელებაზე თავისის ნებით უარის თქმა, ე.ი მისი საბოლოოდ შეწყვეტა ანდა ამ დანაშაულის დამთავრების თავიდან აცილება.³⁴ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ კანონმდებელი ხაზგასმით, სავალდებულოდ მიიჩნევს ორივე პირობის (ნებაყოფლობითობისა და საბოლოობის) ერთდროულად, კუმულაციურად არსებობის საჭიროებას, ამდენად ცალკე აღებული ვერც ნებაყოფლობითობა და ვერც საბოლოობა, ვერ მოგვცემს დანაშაულზე ხელის აღების შემადგენლობას. თუ ნებაყოფლობითობის საკითხი თავისის ბუნებიდან გამომდინარე შედარებით მარტივი შეფასების საგანია,

³³ სულაქველიძე დ. „დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიური ბუნებისათვის“ შურ „ალმანახი“ სამართალი 1980. N4 გვ 51.

³⁴ სულაქველიძე დ., შურნალი სამართალი N3-4, დანაშაულის მცდელობა და ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე, თბილისი 1991, გვ9-10.

გადაწყვეტილების საბოლოოობის დადგენა მეტ ძალისხმევას მოითხოვს. აღნიშნული ორ ეტაპად განვიხილოთ, პირველი როდესაც ამსრულებელი ქმედების განხორციელების კონკრეტულ ეტაპზე იღებს ხელს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, რათა თავიდან აიცილოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაგრამ უშვებს იმის შესაძლებლობას რომ სხვა შესაძლო მომენტში სისრულეში მოიყვანოს თავდაპირველი განზრახვა, და მეორე, როდესაც ამსრულებელი მის ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას არ გამოიყენებს შედეგის თავიდან ასარიდებლად. საქმე ისაა, რომ ორივე განსახილველი შემთხვევა შეფასების საგანია. სასამართლო გადაწყვეტილებებში ხშირად ისმობდა, რომ სასჯელისგან გამათავისუფლებელი ეფექტით ხელის აღება მხოლოდ იმ ადამიანს შეეძლო, რომელმაც საკუთარი დანაშაულებრივი გადაწყვეტილების ხორცშესხმა „მთლიანად და საბოლოოდ“ უარყო.³⁵ აღნიშნული დანაშაული გაგებულ არ უნდა იქნეს ისე, თითქოს კანონმდებელი არეგულირებდეს დანაშაულის ქცევის ყველა მომდევნო გამოვლინებას, მეტიც არავის შეუძლია განსაზღვროს თუ რას მოიმოქმედებს ის გარკვეული პერიოდის შემდეგ და შეეცდება თუ არა სხვა ხელსაყრელ მომენტში მსგავსი ქმედების განხორციელებას, რომლისთვისაც ერთხელ არ იქნა მიცემული სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობა. მოსამართლემ საკითხის გადაწყვეტისას უნდა იხელმძღვანელოს მის ხელთ არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომელიც უნდა გვაძლევდეს იმის თქმის საფუძველს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ამსრულებელს ქმედების კვლავ განმეორების განზრახვა არ გააჩნია და მის მიერ დანაშაულის შეწყვეტა იყო მყარი და საბოლოო გადაწყვეტილება, თორემ ზოგადი თვალსაზრისით დანაშაულებრივი საქმიანობის აკრძალვასა და ქმედების არ ჩადენაზე მხოლოდ სსკ-ის 21-ე მუხლი არ მიუთითებს. მასასადამე კანონმდებელი განსახილველი მუხლის დანაშაულში მოისაზრებს არა ზოგადად დანაშაულებრივ საქმიანობაზე უარის თქმას, არამედ მიუთითებს კონკრეტულ ეპიზოდში ქმედების არ დასრულების მყარ გადაწყვეტილებაზე. შედეგად თუ მოსამართლე დაადგენს იმას, რომ პირმა სხვა უკეთესი ხელსაყრელი მომენტის დადგომამდე, დროებით გადადო პირვანდელი განზრახვის განხორციელება, ბუნებრივია, რომ მის მიმართ ვერ გაავრცელებს საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობას, ვინაიდან არ გვექნება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მეორე სავალდებულო წინაპირობა, საბოლოოობის ნიშანი.

³⁵ ვესელსი ი./ ბოილკე კ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაული და მისი აგებულება. 2010. გვ 376

ნებაყოფლობით ხელის აღება საბოლოო არ იქნება მაშინაც თუ ქმედების ჩამდენმა პირმა არ გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა შედეგის თავიდან ასაცილებლად. მაგალითად „ა“-მ ესროლა „ბ“-ს და დაჭრა, შემდეგ გაუჩნდა სინანულის გრძობა და გადანწყვიტა გადაერჩინა, რა მიზნითაც წაიყვანა ეს უკანასკნელი და დატოვა საავადმყოფოს ეზოში იმ იმედით, რომ გარეთ არსებული რთული მეტეოროლოგიური პირობებისა და დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობისდა მიუხედავად, ვინაიდან საავადმყოფოს ეზო იყო, მაინც აღმოუჩენდნენ სათანადო დახმარებას და გადაარჩენდნენ, თვითონ კი არსად გამოჩნდებოდა. „ა“-ს ვარაუდი გამართლდა, დაჭრილი „ბ“ შეამჩნიეს საავადმყოფოს თანამშრომლებმა და დროულად გაუჩინეს სამედიცინო დახმარება. მსგავსი სანახევროდ ხელის აღება სამართლიანად არ უნდა იქნეს მიჩნეული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად. ფაქტია, რომ „ა“-მ თავისი აქტიური მოქმედებით განახორციელა ისეთი ქმედება, შექმნა შემთხვევის ისეთი პროცესულური განვითარება, რომელსაც დანაშაულის შემდგომი საქმიანობის გარეშეც შეუძლო გამოიწვია დანაშაულებრივი შედეგი. ასეთ დროს ქმედების ჩამდენს ისლა დარჩენია თავისი აქტიური მოქმედებით თავიდან აიცილოს ეს შედეგი, და ამისთვის მის ხელთ არსებული ყველა შესაძლება ამონუროს. მოცემულ ეპიზოდში „ა“-ს მიერ გამონვეული სამართლებრივი მდგომარეობა კი არ არის გამოთიშული მოვლენათა განვითარების პროცესულური ჯაჭვიდან. ამასთან იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანადაა მითითებული, რომ ხელის ამღებმა ძალა არ უნდა დაიშუროს იმისთვის, რათა შედეგი აიცილოს თავიდან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ადამიანის სიცოცხლეს. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ამღებს უფლება არ აქვს არასაკმარისი ან სულაც ბრიყველი ღონისძიებებით შემოიფარგლოს.³⁶ მეტიც, ზოგიერთი გერმანელი ავტორი ნებაყოფლობით ხელის აღების ერთ ერთ წინაპირობად მოიაზრებს ნებაყოფლობით ხელის ამღებისთვის აუცილებელ ქცევას,³⁷ რაც აქტიური მოქმედებისკენ მიუთითებს თუმცა შინაარსობრივად არ გამორიცხავს უმოქმედობის შესაძლებლობასაც. ვინაიდან ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმა პირველ რიგში მიმართულია დაზარალებულის სამართლებრივი ინტერესების დასაცავად, ხოლო მსგავს შემთხვევებზე საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის დანაწესის გავრცელება არ შექმნიდა ამ უკანასკნელის სიცოცხლის გადარჩენის გარანტიებს, არ უნდა იქნას

³⁶ ვესელსი ი./ ბოილკე კ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაული და მისი აგებულება. 2010. გვ. 381-382

³⁷ Baumann J., Weber U., Mitsch W., Strafrecht Allgemeiner Teil, Lehrbuch, მე-11 გამოცემა, Bielfeld, 2003. გვ. 634.

მითითებული ნორმა მსგავსი ფართო ინტერპრეტაციით გაგებული და „ა“-ს მიმართ პროცესუალური შემამსუბუქებელი საშუალებანი გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ სასჯელის ნაწილში.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება არის რთული და კომპლექსური ფენომენი, რომლის ყველა შემთხვევაში გამოყენებაც ვერ აიხსნება სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ლოიალური მიდგომებით. მეტიც ზოგჯერ იმისათვის რომ დაზარალებულის სამართლებრივი ინტერესები გარანტირებულად იქნეს დაცული დამნაშავეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლებისთვის მოეთხოვება მაღალი სტანტარდები, რაც გამოიხატება იმაში, რომ ამ უკანასკნელმა მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა უნდა ამონუროს, პირველადი სამართლებრივი მდგომარეობის აღსადგენად და „ოქროს ხიდზე“ გადასავლელად.

III. თავი

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამიჯვნა ხელშეშლილიმცდელობისგან

3.1. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფარგლები

ბუნებრივია რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ დაუმთავრებელი დანაშაულის დროს, როგორც დანაშაულის მომზადების ისე დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის სტადიაზე. საინტერესოა რა არის ის წინაპირობები რასაც უნდა აკმაყოფილებდეს პირის ქმედება იმისათვის, რომ ეს უკანასნელი მივიჩნიოთ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად. როგორც სსკ-ის 21-ე მუხლის დეფინიციიდან ირკვევა პირველ რიგში თავიდან უნდა იქნეს აცილებული დანაშაულის შედეგი, თუმცა გამონაკლის შემთხვევაში შედეგის დადგომის მიუხედავად პირის ქმედება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად დაკვალიფიცირდება, თუ მას დანაშაულებრივი მიზეზობრიობის ატიპიური განვითარების გამო შედეგი ობიექტურად ან სუბიექტურად არ შეერაცხება. მაგრამ აქ საუბარია მხოლოდ მოვლენათა ატიპიურ განვითარებაზე. თუ მიზეზობრიობის ტიპური განვითარებისას სუბიექტმა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგის თავიდან აცილება ვერ შეძლო, მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება დამთავრებული დანაშაულისთვის, მაშინაც კი როდესაც ეს შედეგი შემთხვევითობის, მესამე პირთა ჩარევის ან დაუძლეველი ძალის გამო დადგა.³⁸ მაგალითად თუ პირმა მსხვერპლს მოკვლის მიზნით ესროლა და დაჭრა, შემდეგ კი შეეცოდა და სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახა, მაგრამ ამ უკანასკნელმა დაზარალებულს ვერ მოუხსნო და მსხვერპლი გარდაიცვალა. სახეზე გვექნება არა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არამედ დამთავრებული დანაშაული. მეორე და აუცილებელი ნიშანი ხელის აღებისთვის გახლავთ ნებაყოფლობითობა. ადამიანი ერთადერთი მაღალი ნებელობის მქონე არსებაა დედამიწაზე და სწორედ ამან

³⁸ ქ. მშედლიშვილი-ჭედრიხი., დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მერიდიანი, თბილისი 2013 გვ. 95-96

განაპირობა ისიც, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ მას და არა რომელიმე ცხოველს როგორც ეს ხდებოდა სამართლებრივი აზროვნების განვითარების ადრეულ ეტაპებზე. ნებაყოფლობითობა თავის თავში მოიაზრებს იმას, რომ პირს გაცნობიერებული აქვს ქმედების განხორციელების შესაძლებლობა მაგრამ აღარ სურს ეს შედეგი. ნებაყოფლობითობაზე მეტელობისას სასამართლო პრაქტიკასა და სისხლის სამართლის დოგმატიკაში განასხვავებენ ფსიქოლოგიურ და ნორმატიულ შეფასებებს. ფსიქოლოგიური შეფასების თანახმად დანაშაულზე ხელის აღებას ნებაყოფლობითი ხასიათი გააჩნია მაშინ, როცა დამნაშავეს აღარ სურს დანაშაულის ჩადენა. მაშასადამე დამნაშავე მოქმედებს ფსიქოლოგიური იძულების გარეშე. პირიქით ნებაყოფლობითობას ადგილი არ აქვს მაშინ, როდესაც რაღაც გარემოებები დამნაშავეზე იმდენად ძლიერ სულიერ გავლენას ახდენს, რომ მას ისღა დარჩენია შეწყვიტოს დანაშაულებრივი საქმიანობა. რაც შეეხება ნორმატიულ შეფასებას იგი ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივებს არა მარტო ფსიქიკაზე, არამედ ასევე შეფასებაზე დაყრდნობით განიხილავს.³⁹ სწორედ მსგავს შეფასებებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფარგლებზე. რა შემთხვევაში შეიძლება ესა თუ ის ქმედება შეფასდეს როგორც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად. როგორც ვხედავთ განსახილველ საკითხში ნებელობას მთავარი ადგილი უკავია, მაგრამ არ უნდა დაგვაფიქვდეს გარეშე ფაქტორებზე, რაც არსებით ზეგავლენას ახდენს კონკრეტულ სიტუაციებში დამნაშავის ნების ჩამოყალიბებაზე. ყოველ შემთხვევაში ცალკე აღებული ვერც ფსიქოლოგიური და ვერც ნორმატიული შეფასება ვერ იქნება საკმარისი ხელის აღების ნებაყოფლობითობის არსის განსაზღვრავად. თუ ფსიქოლოგიური შეფასების მოწინააღმდეგეები მუთითებენ იმაზე, რომ ნებაყოფლობითობის არსის განსაზღვრისთვის გადამწყვეტია არა თავისუფლებისა ან იძულების კრიტერიუმები, არამედ ის თუ რამდენად იმსახურებს დამნაშავის ნება დასჯადობას, რაც საბოლოოდ ნორმატიულ კრიტერიუმამდე დადის, თავის მხრივ ნორმატიული შეფასების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას ისიც, რომ ეს უკანასკნელი დანაშაულზე ხელის აღების დროს ნებაყოფლობითობის მნიშვნელობას საკმაოდ ავიწროვებს. ნორმატიული შეფასების თანახმად დამნაშავის ქმედებას მხოლოდ მაშინ აქვს ნებაყოფლობითი ხასიათი როდესაც დამნაშავე გამოსწორების გზას ადგას. მაშასადამე აღნიშნული მიდგომა მხოლოდ

³⁹ ხარანაული ლ., დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ხელმძღვანელი: მ. ტურავა თბილისი, 2013, 326

კეთილშობილურ მოტივებს ანიჭებს უპირატესობას.⁴⁰ მაგალითად ამ უკანასკნელის თანახმად დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არ გვექნება მაშინ „როდესაც პირი ქმედებაზე ხელის აღების მიუხედავად სამართლისადმი მტრული მოტივაციით მოქმედებს“⁴¹ თუ პირი ცოლის მოკვლაზე ხელს აიღებს და ცოლის საყვარლის მოსაკლავად წავა რადგან მისთვის ცოლის საყვარლის მოკვლა უფრო მნიშვნელობანია, ფსიქოლოგიური გაგებით ეს არის დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, ხოლო ნორმატიული გაგებით არა, რადგანაც ეს უკანასკნელი ნებაყოფლობის საფუძვლად სამართლის მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას აღიარებს. ნორმატიული შეფასების სანინააღმდეგოდ მეტყველებს ასევე ის ფაქტი რომ ნებაყოფლობით ხელის აღების ზნეობრივ მხარეს კანონმდებელი არ ითვალისწინებს. ამ ნაწილში ქმედების ჩამდენი სრული თავისუფლებით სარგებლობს და ნებაყოფლობით ხელის აღებად კვალიფიციენტებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს პირს სინანულის გრძნობა გაუჩნდა, მსხვრეპლი შეებრაღა, სამოთხის კარის დახურვის შეემინდა თუ საკნის კარის ფართოდ გაღების. თუმცა თუ დასჯადობასთან დაკავშირებით გამონვეულ შიშზე შევაჩერებთ აქცენტს, მოგვინვეს იმის თქმა რომ იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ დანაშაულებრივი ქმედების განმახორციელებელი პირისგან სამომავლოდ გამონვეულ პოტენციურ საფრთხეს იმის მიხედვით, ამ პირმა ხელი აიღო დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე სასჯელის შიშის თუ ზნეობრივი, მოყვასის შიშის გამო. თუ პირმა დანაშაული ბოლომდე არ მიიყვანა იმის გამო რომ მას რელიგიური თვალსაზრისით არ სურდა ცოდვის ჩადენა, ივარაუდება რომ ეს უკანასკნელი მომავალში ნაკლები საფრთხის მომტანია საზოგადებისთვის, რადგან მსგავსი ფაქტის განმეორების ალბათობა დაბალია, განსხვავებით იმ შემთხვევისგან, როდესაც პირი დანაშაულებრივ შედეგს თავიდან აიცილებს სასჯელის შიშის გამო. სამართლის დოგმატიკაში განასხვავებენ ასევე დანაშაულის გახსნის აბსტრაქტულ და კონკრეტულ შიშს. აბსტრაქტული შიში ზოგადად სასჯელის ოდესმე მხილების შიშია და არა დანაშაულზე დაუყოვნებლივ წასრების, განსხვავებით კონკრეტული შიშისგან, რომელიც დამნაშავის „მხილების უშუალო საფრთხესთანაა“ დაკავშირებული.⁴² ქმედების დასჯის აბსტრაქტული შიში დანაშაულზე ხელის აღების ნებაყოფლობითობას არ გამორიცხავს, მაშინ როდესაც დანაშაულზე ხელის აღება სასჯელის კონკრეტული შიშის გამო

⁴⁰ იხ. იქვე.

⁴¹ ქ. მშედლიშვილი-ჰედრიხი., დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მერიდიანი, თბილისი 2013 გვ. 100

⁴² ქ. მშედლიშვილი-ჰედრიხი., დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მერიდიანი, თბილისი 2013 გვ. 98

ნებაყოფლობითი არაა. ნებაყოფლობითობის მომენტის დასადგენად გადამწყვეტია ასევე პირის შეხედულება და ცოდნა არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში. მაგალითად თუ „ა“ ხელს აიღებს „ბ“-ს მკვლელობაზე, როცა მას ჰგონია, რომ მომენტი ხელსაყრელია და დარწმუნებულია მის მიერ გამიზნული ქმედების ჩადენის გარდაუვალობაში, თუმცა სინამდვილეში „ა“-ს გარკვეულ გარემოებათა გამო (იქნება ეს ფიზიკური, ტექნიკური თუ ა.შ) არანაირი შანსი არ აქვს „ბ“-ს მოკვლის, ქმედება მაინც უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. რადგანაც მოცემულ მომენტში „ა“-ს თავის თავში უშვებს „ბ“-ს მოკვლის შესაძლებლობას, თვლის რომ ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მაგრამ აღარს სურს ასეთი შედეგის დადგომა და ქმედების საშიშროება მინიმუმდე დაყავს. განსხვავებულად უნდა შეფასდეს ისეთი შემთხვევა, როცა „ა“-ს არასწორი წარმოდგენა აქვს დამაბრკოლებელი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. მაგალითად როცა ფიქრობს რომ „ბ“-ს ოთახში ყავს პირადი დაცვა და თავადაც შეიარაღებულია, რაც ართულებს მის ლიკვიდაციას. სინამდვილეში კი „ბ“ ოთახში მარტოდმარტო მძინარე მდგომარეობაში იმყოფება. ასეთ დროს დანასაუღზე ნებაყოფლობით ხელის აღებაზე საუბარი შეუძლებელია რადგანაც „ა“-ს მოქმედება რაიმე დადებითი მოტივით კი არ არის ნაკარნახევი არამედ დასახული მიზნის მიუღწევლობის შიშით. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ასეთი ფართო გაგება და ინტერპრეტაცია ამ ინსტიტუტის არსებობას სერიოზული ეჭვქვეშ დააყენებდა.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფარგლების „დამდებ საზღვრად“ შეიძლება მივიჩნიოთ მისი საბოლოობა. ანუ ქმედების განმახორციელებელმა პირმა კონკრეტული დანაშაულის განხორციელება საბოლოოდ უნდა გადაიფიქროს და ის უფრო ხელსაყრელი დროისა და პირობების დადგომამდე არ უნდა „გადანთოს“ განხვავებულ შეხედულებას ანვითარებს ებერთი, რომელიც მიუთითებს, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის პირმა კონკრეტულ ქმედებაზე უნდა აიღოს ხელი და არა დანაშაულის მთელ გეგმაზე, რასაც სამართლიანად არ ეთანხმება ბატონი ოთარ გამყრელიძე. მსგავსი სახით დანაშაულზე ხელის აღების ფორმულირება ხელის აღების დაუსჯელობის საფუძველს ეწინააღმდეგება და ისეთ ნიშანს როგორცაა საბოლოობა საფუძველს დაუკარგავდა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც რომ საბოლოობა რიგ შემთხვევებში სულაც არ არის განმარტებული მისი სისტემა სიტყვივითი მნიშვნელობით. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საბოლოობა კონკრეტული დანაშაულის ჩადენაზე ერთხელ და

სამუდამოდ უარის თქმას გულისხმობს, მაგრამ ისეთი ქმედებების, როგორცაა მაგალითად ქურდობა, 10 წლის ვადით გადადება შესაძლოა ასევე შეფასდეს როგორც დანასაუღმე ნებაყოფლობით ხელის აღებად. მიუხედავად ამისა ეს უკანასკნელი სასამართლოს მხრიდან შეფასებას მოითხოვს და ამავდროულად გამონაკლისის სახეს ატარებს ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხიდან გამომდინარე.

3.2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ხელშეშლილი მცდელობის დროს

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მ-ის პირველი ნაწილის თანახმად დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ იყო მიმართული დანაშაულის ჩასადენად მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.⁴³ ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში დანაშაულის მცდელობა გაიგება, როგორც დამნაშავის განზრახი საქმიანობა, რომელიც უშუალო საფრთხეს უქმნის დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებულ სიკეთეს, მაგრამ იგი არ იწვევს დაზიანებას, ზოგჯერ დამნაშავის და ზოგჯერ სხვა თვისებების გამო.⁴⁴ მაშასადამე შედეგის მიუღწევლობა განპირობებულად შეიძლება იყოს, როგორც გარეშე ფაქტორების, ისე თვით დამნაშავის მიერ. დამნაშავის ჩარევის ნებელობისა და შედეგზე ზემოქმედების ხარისხი კი განაპირობებს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემადგენლობას. თავის მხრივ თვითონ სიტყვა „მცდელობა“ ქმნის არასრულფასოვნების განცდას და მიუთითებს იმაზე რომ რაღაც დასრულებული, სრულყოფილი სახით არ არის წარმოდგენილი. როდესაც „ა“ მოკლვის განზრახვით ესვრის „ბ“-ს მაგრამ ამ უკანასკნელს მხოლოდ და მხოლოდ დაჭრის

⁴³ სსკ-ის მე-19 მ-ის პირველი ნაწილი

⁴⁴ ხარანაული ლ., დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ხელმძღვანელი: მ. ტურავა თბილისი, 2013, გვ. 99

და ამ დროს დააკავეს პოლიცია, ვიტყვით რომ სახეზე გვაქვს მკვლელობის მცდელობა, არა დასრულებული დანაშაული არამედ დაუმთავრებელი, მცდელობის სახით. ზემოთ მოყვანილ მარტივ მაგალითში საუბარი არ არის იმაზე თუ რამდენად ჰქონდა „ა“-ს განმეორებითი გასროლის შესაძლება, გაუჩნდა თუ არა სინანულის გრძნობა და ხომ არ გადაიფიქრა მკვლელობა და ა.შ. დანაშაულებრივი ბუნების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე შესაძლოა საქმე გვექონდეს უვარგის მცდელობასთანაც, როდესაც დამნაშავის წარმოდგენის საპირისპიროდ არსებულ გარემოებებს, ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება არ შეუძლია.⁴⁵ მაგალითად „ა“-ს გონია რომ ესვრის და კლავს ვენახში მომუშავე „ბ“-ს მაშინ როდესაც სინამდვილეში ესვრის ვენახში მდგარ ხისგან გაკეთებულ საფრთხობელას ფიტულს. გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში უვარგისი მცდელობისგან მიჯნავენ ხელშეშლილ მცდელობას, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის.⁴⁶ ხელშეშლილია ისეთი მცდელობა, როდესაც პირი დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად ვარგის საშუალებას გამოიყენებს, მაგრამ შედეგი რაიმე გარემოებათა გამო არ დადგება და იგი კონკრეტულ მომენტში დანაშაულს იმ საშუალებით, რაც მას ხელთ აქვს ვეღარ დაასრულებს.⁴⁷ მაგალითად „ა“ ესვრის „ბ“-ს ერთადერთ ტყვიას და ააცილებს. მოცემულ შემთხვევაზე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფარგლების გავრცელება უსამართლო იქნებოდა, ვინაიდან ერთის მხრივ დანაშაულის დასრულება ობიექტურად შეუძლებელია (მაშინ როდესაც ნებელობით ხელის აღების დროს დანაშაულის ობიექტურად დასრულების შესაძლებლობა უნდა არსებობდეს) და მეორეს მხრივ დამნაშავემ იცის რომ ამ დანაშაულს გარემოებებიდან გამომდინარე ვეღარც დაასრულებს (დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს კოგნიტური ელემენტი მოიცავს დამნაშავის მიერ შედეგის დადგომის შესაძლებლობის ცოდნას). გერმანულ ადრეულ სასამართლო პრაქტიკაში ხელშეშლილ მცდელობას მოიხსენიებდენ, როგორც „არანებაყოფლობით ხელის აღებად“ რაც იმთავითვე მოიუთითებს იმას რომ ეს ორი ინსტიტუტი ურთიერთსაწინააღმდეგოა და მათი ერთმანეთისგან გამიჯვნაზე

⁴⁵ იხ. იქვე. გვ. 271

⁴⁶ ხარანული ლ., დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ხელმძღვანელი: მ. ტურავა თბილისი, 2013, გვ. 272

⁴⁷ ქ. მშედლიშვილი-ჭედრიანი., დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მერიდიანი, თბილისი 2013 გვ. 88

მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი. ხელშემლილ მცდელობად მიიჩნევა ასევე ისეთი შემთხვევა, როდესაც პირს შეუძლია მიაღწიოს მართლსაწინააღმდეგო შედეგს, მაგრამ არა დასახულ მიზანს.⁴⁸ მაგალითად თუ „ა“ შედის „ბ“-ს საცხოვრებელ ბინაში ძვირფასეულობის მოსაპარად, მაგრამ იქ შესულს ოქროს ნაკეთობების ნაცვლად სხვა უბრალო მეტალისგან დამზადებული ნივთები დახვდა რომელზედაც „ა“ „ხელს არ გაისვრის“ ეს უკანსკნელი მოქმედება აუცილად უნდა შეფასდეს, როგორც ხელშემლილ მცდელობად. სწორედ აქ ჩანს არანებაყოფლობითობის არსი, რადგანაც მას არ სურდა ის ნივთები რაც დახვდა, იმიტომ კი არ დატოვა სახლი ხელცარიელი, რომ სინდისმა შეაწუხა ან სამომავლოდ დასჯის შეეშინდა, არამედ იმიტომ რომ იქ არსებულმა ნივთებმა ვერ აღუძრა საკმარისი ინტერესი დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად, რაც ბუნებრივია, რომ ვერ აღიქმება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად. შესაბამისად ყოველი ასეთი შემთხვევის მიმართ უნდა დადგეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი როგორც მცდელობისთვის.

3.3. წარუმატებელი ხელის აღება

იმისათვის, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო პირი გათავისუფლებულ იქნას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, კანონმდებელი აყენებს ერთ მნიშვნელოვან პირობას: დანაშაულებრივი შედეგი თავიდან უნდა იქნას აცილებული. სწორედ ესაა სსკ-ის 21-ე მუხლის მთავარი ამოცანა, დაკუთვნილი იქნას სამართლებრივი სიკეთე.

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ სასჯელისაგან სუბიექტს ათავისუფლებს არა ყოველგვარი აცდენა დანაშაულებრივი შედეგისა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც პირის მოქმედების ნებაყოფლობითი აქტით არის განპირობებული, რომ პასუხისმგებლობის მოხსნის საკითხი მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს, როდესაც დამნაშავის წინაშე თავისუფალი არჩევანი იყო ან ბოლომდე მიეყვანა დანაშაული ან ხელი აეღო მასზე და მან ხელის აღება

⁴⁸ იხ. იქვე. გვ. 89

აირჩია.⁴⁹ მაშასადამე გარეშე ძალების ზემოქმედება შედეგის არ დადგომაზე, მაშინ როდესაც პირის ნებელობითი ქცევა მიმართული იყო სულ სხვა შედეგისკენ ვერ იქნება განხილული, როგორც ხელის აღების ნებაყოფლობითი შემთხვევა. მაგრამ საინტერესოა როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, როცა პირს მართლაც სურს თავიდან აიცილოს ეს შედეგი, აკეთებს კიდევ საამასოდ გარკვეულ მოქმედებებს, (მაგალითად მსხვერპლის დაჭრის შემთხვევაში გამოუძახებს სასწრაფოს, აღმოუჩენს პირველად სამედიცინო დახმარებას და ა.შ) მაგრამ დანაშაულებრივი შედეგი მაინც დგება (მიყენებული ჭრილობის შედეგად დაზარალებული გარდაიცვალა)

როგორც ცნობილია ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია როგორც დანაშაულის მომზადების, ისე დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის ეტაპზე. აღნიშნული პრობლემა თავს იჩენს სწორედ დამთავრებული მცდელობის სტადიაზე, ანუ როდესაც პირმა თავისი აქტიური მოქმედებით განახორციელა ისეთი ქმედება, შექმნა შემთხვევის ისეთი პროცესულური განვითარება, რომელსაც დამნაშავის შემდგომი საქმიანობის გარეშეც შეუძლიათ გამოიწვიონ დანაშაულებრივი შედეგი. ასეთ დროს ქმედების ჩამდენს ისღა დარჩენია თავისი აქტიური მოქმედებით თავიდან აიცილოს ეს შედეგი, თუ ეს უკანაკნელი მიუხედავად განეული ძალისხმევითა შედეგს თავიდან ვერ იცილებს ბუნებრივად დადგება მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს წარუმატებელი ხელის აღება დამნაშავის მიერ განეული „დახმარების“ უშედეგობის გამო დადგა (მაგალითად ის პირველადი დახმარება რაც დამნაშავემ გაუწია დაზარალებულს არ აღმოჩნდა საკმარისი) თუ აღნიშნული განაპირობა მცდელისგან დამოუკიდებელმა შემთხვევითმა გარემოებებმა. (მაგალითად დაზარალებული გარდაცვალება გამოიწვია სასწრაფოს ეკიპაჟის დაუდევარმა მოქმედებამ) მართალია განსახილველ ეპიზოდში პირს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის ვერ გავათავისუფლებთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, მაგრამ მოსამართლემ დამნაშავის ქმედების შემდგომი მოქმედებები შესაძლოა გაითვალისწინოს სასჯელის ნაწილში.

⁴⁹ წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი I., თბ. 2007., გვ 536

IV. თავი

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა ფორმალურ ანუ შედეგგარეშე დელიქტებში

4.1. ფორმალური დანაშაულის ცნება და მისი მიმართება დანაშაულის ურიდიულად და მატერიალურად დასრულებისთვის

დანაშაულის კატეგორიებიდან ჩადენის ფორმის მიხედვით უნდა გამოვყოთ შედეგგარეშე (ე.წ. ფორმალური) და შედეგიანი (ე.წ. მატერიალური) დელიქტები. თავად სიტყვათა განმარტებიდანაც ჩანს, რომ შედეგგარეშე დელიქტი დამთავრებულად ითვლება აქტიური მოქმედების ჩადენის, ან შესაძლებელი მოქმედების შესრულების მომენტიდან, შედეგის დადგომისდა მიუხედავად. ამდენად შედეგგარეშე შემადგენლობებში ქმედების ობიექტური შემადგენლობა ამოიწურება მხოლოდ საშიში თვისებების მქონე ქმედების განხორციელებით და კანონმდებელი ასეთი დანაშაულის დამთავრებისთვის არ მოითხოვს განსაზღვრული მავნე შედეგის დადგომას. მისგან განსხვავებით კი შედეგიან დანაშაულთა განხორციელებისას აუცილებელ ელემენტს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, სწორედ განსაზღვრული მავნე შედეგის დადგომა წარმოადგენს.⁵⁰ ეს უკანასკნელი შეიძლება გამოიხატოს, როგორც სამართლებრივი სიკეთის განადგურებაში, ისე მის დაზიანებასა და საფრთხის შექმნაში, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა. თ. წერეთელი არ ეთანხმება დანაშაულთა მსგავსი სახით დაყოფას იმ მიზეზით, რომ აღნიშნული ტერმინები სრულად ვერ გამოხატავენ საქმის არსს.⁵¹ მიუხედავად ამისა გაბატონებული შეხედულების თანახმად, მოქმედ ქართული სისხლის სამართლის კოდექსშიც, კანონმდებელი ცალკეულ დანაშაულთა შემადგენლობის განხილვისას, დანაშაულს

⁵⁰ ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და საფრთხის შემქნელი დელიქტები. თბ. 2015 გვ. 16

⁵¹ წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი II., თბ. 2007 გვ. 415

დამთავრებულად აცხადებს აკრძალული ქმედების ჩადენისთანავე და არ მიუთითებს შემდგომ შედეგებზე. სწორედ აქედან მომდინარეობს მისი ფორმალურობის ცნებაც. ფორმალური გაგებით დანაშაული სახეზე გვაქვს, რადგანაც დანაშაულებრივი ქმედების კანონიერი შემადგენლობის ნიშნები ფორმალურად განხორციელებულია. მაგალითად თავისუფლების უკანონო აღკვეთის დროს, დანაშაული თავისუფლების აღკვეთის მომენტიდანვე გვაქვს სახეზე და მოვლენათა შემდგომ განვითარებას დანაშაულად კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს.

საინტერესოა რამ აიძულა კანონმდებელი გარკვეული ქმედებების ადრეულ ეტაპზე კრიმინალიზებისა და დასჯადობისთვის მიემართა? ერთ ერთი პასუხი შესაძლოა ზემოთაღნიშნულ მაგალითში მივიღოთ. კერძოდ თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის დროს „შედეგი“ იმდენად გარდაუვალად ხორციელდება და ერწყმის განსაზღვრული მოქმედების შესრულებას, რომ კანონმდებელი მათი ერთმანეთისგან გამიჯვნას აღარ ახდენს. მეორეს მხრივ კონკრეტულმა მოქმედებებმა შეიძლება ისეთი დანაშაულებრივი შედეგები გამოიწვიოს, რომ მათი კონკრეტიზაცია კანონში დიდ სიძნელებებთან იყოს დაკავშირებული. ამას გარდა არსებობს კიდევ სამართლებრივი სიკეთის დაცვის მაღალი ინტერესიც. კერძოდ დასაცავი სიკეთე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელი შეუძლებლად თვლის დანაშაულის დამთავრება ნამდვილი ზიანის დადგენას დაუკავშიროს. მაგალითად სსკ-ის 224-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ბანდიტიზმი, რა დროსაც ეს უკანასკნელი დამთავრებულად ითვლება თავად შეიარაღებული ჯგუფის შექმნის მომენტიდან,⁵² ანუ დანაშაული ფორმალურად სახეზეა, მიუხედავად იმისა ეს ჯგუფი მოასწრებს თუ არა რეალური, დასახული მიზნების განხორციელებას.

როგორც, ზემოთაღნიშნულიდან ჩანს დანაშაულის დამთავრებულად გამოცხადება დამოკიდებულია დანაშაულის შემადგენლობის სახეზე. ანუ კანონმდებლის ნებაზე თუ რა მომენტიდან მიიჩნევს დანაშაულს დასრულებულად. ნებისმიერი დანაშაული ფართო გაგებით გარკვეულ სამართლებრივ შედეგს აუცილებლად გამოიწვევს. ამიტომ დანაშაულის შემადგენლობათა შედეგიან და შედეგგარეშე კლასიფიკაციას, საფუძვლად უდევს ვინაობა გაგებული დანაშაულის შედეგი, რომელიც ობიექტურ გარესამყაროში სამართლით დაცული სიკეთის ზნეობრივ-პოლიტიკურთან ერთად, მატერიალური ზიანის მიყენებითაც

⁵² ნაჭყეაია გ., დვალაძე ი., „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“ თბილისი 2007 გვ. 122

გამოიხატება.⁵³ სსკ-ის მე-8 მუხლის პირველი ნაწილი შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „თუ ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დანაშაული მხოლოდ მაშინ ითვლება დამთავრებულად, როდესაც ქმედებამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია ან ასეთი შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხე შექმნა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ამ ქმედებასა და შედეგს ან საფრთხეს შორის.“ აღნიშნული ჩანაწერიდან ყურადღება უნდა გავამახვილოთ რამდენიმე გარემოებაზე. პირველ რიგში მითითებული მუხლის მსგავსი ფორმულირება, ტოვებს ადგილს ცაკლეულ დანაშაულთა, შედეგის გარეშე დასრულებულად გამოცხადებისთვის. რაც პოვებს კიდევ ასახვას კერძო ნაწილის მუხლთა დისპოზიციებში. (სსკ-ის 179; 224; 232; 280 და ა.შ მუხლები). მეორეს მხრივ, ეს ჩანაწერი გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ კონკრეტული საფრთხის დელიქტიც მივაკუთვნოთ შედეგიან დანაშაულს, რადგანაც, კანონმდებელი ცალსახად მიუთითებს, არა მხოლოდ ქმედებასა და შედეგს შორის, არამედ ქმედებასა და კონკრეტულ საფრთხეს შორის მიზეზობრივ კავშირზეც. (სსკ-ის 288 მუხლი) კონკრეტული საფრთხე შედეგი რომ არ იყოს, ქმედებასა და კონკრეტულ საფრთხეს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენის არც შესაძლებლობა იქნებოდა და არც საჭიროება. იქ, სადაც მიზეზია, იგულისხმება შედეგი და, პირიქით შედეგის არსებობა მიუთითებს მიზეზობრივი კავშირზე ქმედებასა და გარკვეულ შედეგს შორის⁵⁴. და ბოლოს თვით მიზეზობრივი კავშირი. სსკ-ის მე-8 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად: „მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა.“ შესაბამისად, გამომდინარე იქედან რომ ფორმალური დანაშაულის დროს შედეგის დადგომას, დანაშაულის დასრულებულად გამოცხადებისთვის პრაქტიკული მნიშვნელობა არ ენიჭება, მიზეზობრივი კავშირის საკითხიც ნაკლებ პრობლემური ხდება. კანონმდებელიც შეგნებულად არ ასახელებს მასში აბსტრაქტული საფრთხის მომენტს, რადგანაც ეს უკანასკნელი მიეკუთვნება სწორედ ფორმალურ, შედეგგარეშე დანაშაულთა კატეგორიას.

საფრთხის შემქმნელ დელიქტებს „შეკვეცილ შემადგენლობებსაც“ უწოდებენ. ტერმინი „შეკვეცილი“ საკმაოდ ფარდობითი ცნებაა, რაც გამოიხატება დანაშაულის იურიდიულად და მატერიალურად დამთავრების მომენტების

⁵³ იხ. იქვე. გვ. 150

⁵⁴ ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბ. 2015 გვ. 19

ურთიერთმიმართებით.⁵⁵ შეკვეცილი შემადგენლობა ისეთი შემადგენლობაა, რომელიც თავისი ფორმით დანაშაულის მომზადებას ან მცდელობას ჰგავს, მაგრამ კანონმდებელი ქმედების საშიშროებიდან გამომდინარე არ მოითხოვს გარკვეული შედეგის დადგომას, და დანაშაულის დამთავრებულად აცხადებს ქმედების განხორციელების მომენტშივე.⁵⁶ აქედან გამომდინარე, ვინაიდან შეკვეცილი და ფორმალური დელიქტები არ მოითხოვენ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას, ჩნდება მოსაზრება, რომ ისინი ერთი და იმავე ტიპის დელიქტებს წარმოადგენენ, რაც არ არის გასაზიარებელი. კერძოდ თუ ფორმალურ დელიქტებში ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობებს შორის მოკულობის თვალსაზრისით სრული პროპორციულობაა, შეკვეცილ შემადგენლობებში ობიექტური შემადგენლობაა შეკვეცილი სუბიექტურის სასარგებლოდ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სუბიექტური ნიშანი (მაგალითად მიზანი) იმ შედეგზე ვრცელდება რომელიც შემადგენლობის მიღმაა. თუმცა აღნიშნულიდანაც არსებობს გამონაკლისის მაგალითად განსაცდელში მიტოვება, დაუხმარებლობა და სხვა. შედეგად უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ აბსტრაქტული საფრთხის და შეკვეცილი დელიქტები ზოგჯერ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ სინონიმებს. შეკვეცილი შემადგენლობანი, თავისი არსით, საფრთხის დელიქტების, კერძოდ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ნაირსახეობად შეიძლება მივიჩნიოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა შეკვეცილი შემადგენლობა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია, მაგრამ ყველა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი როდია შეკვეცილი შემადგენლობა.⁵⁷

ფორმალურ, ანუ შედეგგარეშე დანაშაულთა განხილვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის იურიდიულად და მატერიალურად დასრულების საკითხისთვის. კერძოდ იურიდიული თვალსაზრისით დანაშაული დასრულებულია ნორმის მოთხოვნის დარღვევის მომენტიდან, თუმცა ფაქტობრივი თვალსაზრისით დანაშაული შეიძლება ჯერ კიდევ გრძელდებოდეს. მაგალითად განსაცდელში მიტოვების დროს დანაშაული იურიდიულად დამთავრებულია სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობის მომენტიდან, მაგრამ მატერიალური გაგებით გრძელდება მანამ, სანამ ადამიანი განსაცდელში იმყოფება. ვინაიდან აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი, რომელიც

⁵⁵ ნაჭყეია გ., დვალაძე ი., „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“ თბილისი 2007 გვ. 152

⁵⁶ ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და საფრთხის შემქნელი დელიქტები. თბ. 2015 გვ. 60-61

⁵⁷ ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და საფრთხის შემქნელი დელიქტები. თბ. 2015 გვ. 62

პრეზუმირებულია კანონმდებლის მიერ, თავის თავში მოიაზრებს სამომავლო სავალალო შედეგის დადგომას, ქმედების განხორციელებისას არის უმეტესად იურიდიულად/ფორმალურად დამთავრებული და კონკრეტული შედეგის დადგომა ქმედების შემადგენლობის მიღმაა შეიძლება ითქვას, რომ ყველა ასეთი დელიქტი წარმოადგენს დენად დანაშაულს, რომლებიც იწყება მოქმედებით ან უმოქმედობით და გრძელდება განუსაზღვრელი ვადით. თუმცა მართებულად შენიშნავს ბატონი თ. ცქიტიშვილი, რომელიც დასძენს, რომ უკანონო აბორტის აბსტრაქტული სახის დელიქტობის მიუხედავად ამ უკანასკნელს ვერ მივაკუთვნებთ დენად დანაშაულთა კატეგორიას. უკანონო აბორტის შემადგენლობა მაშინ ითვლება დამთავრებულად, როცა ორსულობა უკანონოდ შეწყდება. ორსულობის შეწყვეტისას დანაშაული ფორმალურადაც და მატერიალურადაც დამთავრებულია. ამ შემთხვევაში აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განსახორციელებლად კონკრეტული შედეგის დადგომა - ორსულობის შეწყვეტაა საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება დასახელებული დელიქტის მცდელობას.⁵⁸

ამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დანაშაულის იურიდიულად და მატერიალურად დასრულების დრო, როგორც წესი არ ემთხვევა ერთმანეთს, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხზეც, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

4.2. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი ფორმალურ დანაშაულებთან მიმართებაში

იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მომზადებისა და მცდელობის სტადიაზე, ანუ ჯერ კიდევ მანამ, სანამ დანაშაული არ დასრულებულა და არ დამდგარა მართლსაწინააღმდეგო შედეგი. საინტერესოა როგორ უნდა გადანყდეს საკითხი ფორმალურ დანაშაულებთან მიმართებაში, ვინაიდან ერთი რომ ეს უკანასკნელი ქმედების

⁵⁸ ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და საფრთხის შემქნელი დელიქტები. თბ. 2015 გვ. 63

განხორციელებისთანავე უკვე დასრულებულია და შესაბამისად აზრს კარგავს მომზადებასა და მცდელობაზე საუბარი და მეორეც - არ მოითხოვება დანაშაულებრივი შედეგის დადგომა. სავსებით ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ხომ არ ართმევს ფორმალურ დანაშაულებში დასჯადობის ადრეულ ეტაპზე გადმონევა ქმედების ჩამდენ პირს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას? აღნიშნული საკითხი შესაძლოა განვიხილოთ გერმანულ სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან მიმართებაში. მაგალითად გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის §242 ქურდობის შემადგენლობა მითვისების მიზნით უცხო მოძრავი ნივთის მითვისებას გულისხმობს. დაუფლება კი მაშინაა სახეზე როცა ნივთზე სხვისი ფაქტობრივი ბატონობა დასრულებულია და ახალი ბატონობაა დამკვიდრებული, ამისთვის კი გერმანული კანონმდებლობის თანახმად საკმარისია ქურდმა რაიმე ნივთი თაროდან აიღოს და ჯიბეში ჩაიღოს. თუ ეს უკანასკნელი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად საკმარისია დანაშაულის დასრულებულად გამოსაცხადებლად, ქართული კანონმდებლობა ამისთვის განკარგვის შესაძლებლობის მომენტს ასახელებს. თუ ამსრულებელი მაღაზიაში თაროდან ძეხვის ქილას აიღებს და ჩიბეში ჩაიდებს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ჯერ არაა დამთავრებული, რადგან ნივთს ჯერ არ დაუფლებია. დანაშაული დამთავრებული იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას მესაკუთრის მსგავსად, ამ ძეხვის თავისუფლად განკარგვა შეეძლება.⁵⁹ მაშასადამე, ვინაიდან ქართულ სისხლის სამართალში ჯერ კიდევ მცდელობაა, მაშინ როდესაც გერმანული კანონმდებლობით ქმედება დასრულებულ დანაშაულად ითვლება, ამსრულებელს ნივთის დაუფლებიდან მის განკარგვამდე ჯერ კიდევ აქვს საკმარისი დრო იმისათვის, რომ უარი თქვას დანაშაულის ბოლომდე მიყვანამდე და დააბრუნოს ნაქურდალი ნივთი.

ის ფაქტი რომ დანაშაული იურიდიული გაგებით დასრულებულია, აღარ აძლევს ამსრულებელს ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას და სავსებით სამართლიანადაც, ვინაიდან თუ დანაშაულს ფორმალურად დასრულების შემდეგ მაინც არ მივიჩნევდით დამთავრებულად და დაველოდებოდით მატერიალური შედეგის დადგომას, აზრს დაკარგავდა საერთოდ შედეგგარეშე და შედეგიან დელიქტებზე საუბარი. თავის მხრივ ნებაყოფლობით ხელის აღებასაც მიეცემოდა მეტად ფართო ინტერპრეტაცია და დაზარალებულის ინტერესების ნაცვლად იქცეოდა დამნაშავის ინტერესების დაცვის მთავარ გარანტად. კანონმდებელი ცლსახად და გარკვევით მოითითებს

⁵⁹ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი., ბერნდ ჰაინრიხი., „დანაშაულის განვითარების სტადიები ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში“(II ნაწილი)

ცალკეულ დანაშაულთა საშიშროებიდან გამომდინარე მათ აღრეულ ეტაპზევე დასრულებულად და ეს არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ამსრულებლისთვის ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის წართმევა, მით უფრო მაშინ, როცა ეს უკანასკნელი სულაც არ არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების ერთადერთი წინაპირობა და იგივე კანონმდებელი ითვალისწინებს დანაშაულის დასრულების შემდეგაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან განთავისუფლებას ქმედითი მონაწილის გამო. დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით სსკ-ის 68-ე მუხლი უყურადღებოდ არ ტოვებს დამნაშავის დანაშაულის ჩადენის შემდგომ ქმედებას, მიმართულს პირვანდელი სამართლებრივი მდგომარეობის აღსადგენად. ამდენად დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის საზღვრების მოშლას და მისი ნორმების გავრცელებას იურიდიულად დამთავრებული დანაშაულის შემდგომ ეტაპზე, სჯობს და მართებულიც არის, რომ კანონმდებელმა მიმართოს მსგავს დიფერენცირებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების ნაწილში.

საბოლოოდ კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ იქ სადაც ნორმის ინტერპრეტაციიდან გამომდინარე ამსრულებელს აქვს საშუალება განახორციელოს ქმედების შემადგენლობის მომზადება ან მცდელობა, არ უნდა წავართვათ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა, ხოლო იქ სადაც შეუძლებელია საუბარი დანაშაულის მომზადებასა და მცდელობაზე, თვითნებურად არ უნდა მოხდეს ამსრულებელზე ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმის გავრცელება.

V. თავი

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისა და საფრთხის შემქნელი დელიქტების ურთიერთ მიმართების საკითხი

5.1. საფრთხის შემქნელი დელიქტის ცნება

სამართალმა თანამედროვე ფორმის მისაღებად ისტორიული განვითარების გრძელი გზა განვლო. აღნიშნული შეეხებოდა თითქმის ყველა ანსპექტს, იქნებოდა ეს ქმედების განმარტაციული სუბიექტი თუ ამა თუ იმ შემთხვევის დანაშაულად კვალიფიცირების პრობლემა. როდესაც საუბარია დამთავრებულ და დაუმთავრებელ დანაშაულზე უნდა ითქვას რომ, ადრეული განვითარების ეტაპზე ნაკლები ყურადღება ეთმობოდა დამნაშავის მოქმედების შინაგან მხარეს, რომელიც მიმართული იყო გარკვეული შედეგისკენ, მაგრამ ვერ აღწევდა სასურველ შედეგს. ვინაიდან აღნიშნული პერიოდის სამართლისთვის უცხო იყო დაუმთავრებელი დანაშაულის ცნება, ის ქმედება, რომელიც არ იწვევდა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას ისტებოდა როგორც დამთავრებული დანაშაული.⁶⁰ შესაბამისად არც ქართული და არც დასავლეთ ევროპის ადრე ფეოდალური სამართალი არ იცნობდა დანაშაულის მცდელობის ზოგად ნორმებს. ერთგვარ ასეთ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი სადაც საუბარია „სიკუდილისა ცდისათვის“ პასუხისმგებლობის საკითხზე. აღნიშნულის დასჯადობა გამომდინარეობდა იქედან, რომ კანონმდებელმა ადამიანის სიცოცხლე განსაკუთრებული დაცვის ღირსად ჩათვალა, უფრო ადრე კი რომის სამართალი დასჯადად აცხადებდა ისეთ ქმედებებს, რომელიც მიმართული იყო დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებისკენ, მაგალითად ვინმეს მოკვლის მიზნით იარაღით სიაურული, იგივე მიზნით საწამლავის შექმნა შენახვა, დამზადება და ა.შ. როგორც ავღნიშნეთ მითითებულ დისპოზიციებს „სამართლებრივი დახვეწილობა“ აკლდა მაგრამ კანონმდებელი იმ დროს არსებული ყველა შესაძლებლობით ცდილობდა მომეტებული საფრთხის მატარებელი ქმედებები სამართლებრივი რეგულირების

⁶⁰ ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და საფრთხის შემქნელი დელიქტები. თბ. 2015 გვ. 13

გარეშე არ დაეტოვებია. მაგრამ მაშინ, როდესაც უკვე დასჯადია დანაშაულის მცდელობა, რა მიზანს ემსახურება საფრთხის შემქმნელ დელიქტთა გათვალისწინება დღეს მოქმედი კანონმდებლობით. აღნიშნულთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო მოსაზრება აქვს ქალბატონ თ. წერეთელს, რომლის თანახმადაც თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მაღალი ტემპები და მის შედეგად ინდივიდუალური ინტერესებისათვის საშიშროების ახალი წყაროების გაჩენა აიძულებს კანონმდებელს სიმძიმის ცენტრი გადაიტანოს მაგნი შედეგიდან უფრო ადრინდელ საფეხურზე, როცა პირის მოქმედებით შექმნილი იყო მხოლოდ შესაძლებლობა ზიანის მიყენების, ანდა უფრო ადრინდელზე, როცა მოხდა მოქმედება, რომელსაც ჰქონდა საშიში თვისებები.⁶¹ საერთო ჯამში კანონმდებელი ცდილობს დანაშაულის დამთავრების მომენტის ადრინდელ სტადიაზე გადატანით მკაცრად დასაჯოს ესა თუ ის ქმედება. თუნდაც ყაჩაობის შემადგენლობასთან დაკავშირებით კანონმდებელი არ ელოდება ადამიანის სიცოცხლის მოსპობასა და ჯანმრთელობის დაზიანების მიყენების ფაქტს და ასეთი საფრთხის შექმნის მომენტიდანვე იწყებს მის დასჯადობას. აქვე სრულიად ბუნებრივად ჩნდება კითხვა იმის შესახებ თუ რამდენად რეალურია კონკრეტული ქმედების განხორციელება საფრთხის შესაქმნელად და როგორ უნდა შეფასდეს მისი საშიშროების ხარისხი? საფრთხის ცნება თავის თავში გულისხმობს მდგომარეობას, როცა სამართლით დაცული ინტერესების ხელყოფა შესაძლებელია. მართალია შედეგის დადგომის მცირე შესაძლებლობაც სიტყვის გარკვეული გაგებით საფრთხედ შეიძლება შეფასდეს, მაგრამ გერმანიის მართლმსაჯულთა განსაზღვრა, რომ საფრთხის შექმნას მაშინ აქვს ადგილი, როცა „ზიანის დადგომა უფრო მეტადაა სავარაუდო ვიდრე მისი არ დადგომა“⁶² ნებისმიერ შემთხვევაში ზიანის დადგომის შესაძლებლობას აქ მათემატიკური-პროცენტული მაჩვენებლით მიუვდებით თუ სამართლებრივად არსებითი შესაძლებლობის გათვალისწინებით ამოსავალი და მთავარი გახლავთ ის რომ ქმედების საშიშროებისა და ზიანის დადგომის შესაძლებლობის შეფასება ხდება წინდახედული, კეთილგონიერი ადამიანის პოზიციიდან. მაგალითად ექსპერტი, როგორც ამა თუ იმ დარგის სპეციალისტი არ შეიძლება საშუალო შემფასებლად ჩავთვალოთ, ვინაიდან იგი ფლობს გარკვეულ სპეციფიკურ ცოდნას, რომელიც ყველა ადამიანს არ გააჩნია და უსამართლო იქნებოდა რიგითი დამნაშავე გაგვეკიცხა ექსპერტის სპეციალური ცოდნის შეფასებით განწერილი სტანტარდის ფარგლებში.

⁶¹ ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბ. 2015 გვ. 14

⁶² ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბ. 2015 გვ. 90

საფრთხე იყოფა აბსტრაქტულ და კონკრეტულ საფრთხედ. აქედან გამომდინარეობს საფრთხის დელიქტების დაყოფაც აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტებად. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედება საშიშად თავად კანონმდებლის მიერაა შეფასებული და მოსამართლე მას არ აფასებს. იგი მხოლოდ ადგენს იმას, განხორციელდა თუ არა სისხლის სამართლის კანონში აღწერილი ქმედება. რაც შეეხება კონკრეტული საფრთხის დელიქტებს აქ პირიქით, კანონმდებელი მოსამართლეს უთმობს ქმედების შეფასებას არის თუ არა იგი საშიში.⁶³ კონკრეტული საფრთხის დელიქტი ეწოდება საფრთხის შემქნელი დელიქტის იმ შემადგენლობას, რომლის ობიექტური შემადგენლობის ნიშნებია ქმედება, სამართლებრივი სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნა და მიზნობრივი კავშირი ქმედებასა და ქმედებით შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს შორის. ⁶⁴ რაც შეეხება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს ამ უკანასკნელის ქმედების შემადგენლობის ნიშანი არ არის არც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა და არც კონკრეტული საფრთხის შექმნა. როგორც უკვე აღვნიშნეთ მოსამართლეს აბსტრაქტული საფრთხის შემქნელ დელიქტებში არ ევალდება მიზნობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და საფრთხეს შორის. ეს თითქმის შეუძლებელიცაა, რამეთუ ქმედების განხორციელებით ადგილი აქვს არა კონკრეტული საფრთხის შექმნას არამედ საშიში, სახიფათო ქმედების განხორციელებას, რომელსაც ცხოვრებისული გამოცდილებიდან გამომდინარე კანონმდებელი ადრეულ ეტაპზევე დასჯად ქმედებად აცხადებს.

მეცნიერთა ერთი ნაწილი საერთოდაც უარყოფს აბსტრაქტული საფრთხის ცნებას და აღნიშნავს რომ საფრთხე ყოველთვის კონკრეტულია და ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. თუმცა მართებულად ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას ბატონი თ. ცქიტიშვილი იმ თვალსაზრისით, რომ „კონკრეტული საფრთხე გულისხმობს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შესაძლებლობას, მდგომარეობას, როცა სამართლებრივი სიკეთის ობიექტი საშიშროების ზონაშია მოხვედრილი, მაგრამ ასეთი საფრთხე ყოველთვის როდი არსებობს. მაგალითად, მაშინ, როცა საფრთხე კონკრეტულ ობიექტს, ინდივიდს კი არ ემუქრება, არამედ არსებობს გენერალიზებული სახით და ქმედება მიმართულია მთელი საზოგადოების ან სახელმწიფოს წინააღმდეგ. შეიძლება აბსტრაქტული საფრთხე კონკრეტულ ინდივიდსაც შეექმნას. აბსტრაქტული საფრთხე გულისხმობს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის

⁶³ ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და საფრთხის შემქნელი დელიქტები. თბ. 2015 გვ. 92

⁶⁴ იხ. იქვე. გვ. 17

შესაძლებლობას, მაგრამ შედარებით ნაკლები ხარისხით და ინტენსივობით. აბსტრაქტული საფრთხის დროს არ არსებობს გაურკვეველობა სამართლებრივი სიკვითის მომავალ უვნებელ არსებობასთან დაკავშირებით. თუ აბსტრაქტული საფრთხის დროს საერთოდ გამოვრიცხავდით სამართლებრივი სიკვითის ხელყოფის შესაძლებლობას, გამოგვეცლებოდა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დასჯადობის ლეგიტიმაციის საფუძველი.⁶⁵

5.2. საფრთხის შემქნელ დელიქტებში ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა

სისხლის სამართლის დოგმატიკაში აღიარებულია, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია დანაშაულის მომზადების ან მცდელობის ეტაპზე, როცა დანაშაულებრივი შედეგი არ დამდგარა და დანაშაული არ იქნა დასრულებული. მაგრამ საინტერესოა როგორ წყდება საკითხი საფრთხის შემქნელ დელიქტებთან მიმართებაში. საფრთხის შემქნელი დელიქტი ხომ დანაშაულის მცდელობის სტადიაზე უკვე დამთავრებულია. აღნიშნულთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგვაროვანი მიდგომაა დაფიქსირებული, ავტორთა ნაწილი საფრთხის შემქნელი დელიქტის ბუნებიდან გამომდინარე შეუძლებლად მიიჩნევს დანაშაულის ბოლომდე განხორციელებისგან ხელის აღებას, თუმცა საფრთხის შემქნელ დელიქტებში ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის სრულებით უარყოფა ვერ იქნება გამართლებული. თ. ცქიტიშვილი მიუთითებს, რომ ვინაიდან ზოგიერთი საფრთხის შემქნელი დელიქტის მომზადება და მცდელობა შესაძლებელია, მათთან მიმართებაში ხელის აღების შესაძლებლობაც არ უნდა გამოირიცხოს, მაგალითად უკანონო აბორტის შემთხვევაში თუ ექიმმა დაიწყო უკანონო მოქმედებები ორსული ქალისთვის მუცლის მოსაშლელად, მაგრამ დანყებული ქმედება ბოლომდე არ მიიყვანა და ორსული ქალისთვის მუცლის მოშლამდე ხელი აიღო დანაშაულის ბოლომდე განხორციელებაზე, თუმცა კი ჰქონდა ამის რეალური შესაძლებლობა ასეთ დროს ექომი უნდა განთავისუფლდეს სასჯელისაგან

⁶⁵ ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და საფრთხის შემქნელი დელიქტები. თბ. გვ. 22

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო.⁶⁶ კონკრეტულ შემთხვევაში ექიმის ქმედება კი არ კარგავს მართლსაწინააღმდეგო სოციალურად საშიშ ხასიათს და მას მართლზომიერი ქმედებისთვის კი არ ანთავისუფლებენ პასუხისმგებლობისგან არამედ სისიხლისსამართლებრივი პოლიტიკის საფუძველზე რათა დაცულ იქნას სამართლებრივად მნიშვნელოვანი სიკეთე. საფრთხის შემქნელი დელიქტებიდან ნებაყოფლობით ხელის აღება მცდელობის სტადიაზე შეიძლება გამოვრიცხოთ წმინდა შეკვეცილ დელიქტებში, სადაც თვით მცდელობის შესაძლებლობაა გამოვრიცხული და შესაბამისად ხელის აღების პრობლემა ამ ეტაპზე საერთოდ არ დგას.

იურიდიულ ლიტერატურაში ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება საფრთხის შემქნელ დელიქტებში შესაძლებელია ფორმალურად დამთავრების შემდეგაც მატერიალური გაგებით დანაშაულის დასრულებამდე ანუ შედეგის განხორციელებამდე. აღნიშნული მოსაზრება სამართლიანად გააკრიტიკა თ. წერეთელმა, რომელიც აღნიშნავდა რომ მოსამართლეს დანაშაულის დამთავრების საკითხის გადასჭრელად არ შეიძლება ჰქონდეს სხვა კრიტერიუმი გარდა საკანონმდებლო მითითებისა, ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო აღწერილობისა. ამ თვალსაზრისით თუ შეკვეცილ შემადგენლობებში დანაშაულის ფორმალურად დამთავრების შემთხვევაში მოსამართლე დანაშაულს არ ჩათვლიდა დამთავრებულად, ეს იქნებოდა მოსამართლის თავისუფალი მიხედულების მეტისმეტი გაფართოება. დანაშაულის, შედეგის დადგომამდე, დანაშაულად არ ცნობა, მიუხედავად საკანონმდებლო აღწერილობისა, აზრს დაუკარგავდა როგორც დანაშაულთა შედეგიან და შედეგგარეშე დანაშაულებად დაყოფას, ისე თვით საფრთხის შემქნელი დელიქტების არსებობას. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვინაიდან საფრთხის შემქნელ დელიქტებში დანაშაული იმ მომენტშია დამთავრებული, როცა სამართლით დაცულ სიკეთეს საფრთხე შეექმნა, აქ ნებაყოფლობით ხელის აღებას დანაშაულზე არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს.⁶⁷ საკითხის სხვაგვარი გადანყვეტა უფრო დამნაშავის ინტერესების დაცვა იქნებოდა ვიდრე დაზარალებულის, მაშინ როდესაც სსკ-ის 21-ე მუხლი სწორედ რომ დაზარალებულის (კონკრეტულ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის) დაცვას ემსახურება. ავტორთა ნაწილის აზრით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება სულაც დამნაშავის აბსოლიტური უფლებაა, ერთი შეხედვით ეს ასეცაა, მაგრამ დამნაშავის ქცევის

⁶⁶ ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და საფრთხის შემქნელი დელიქტები. თბ. 2015 გვ. 258

⁶⁷ ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და საფრთხის შემქნელი დელიქტები. თბ. 2015 გვ. 259

თავისუფლებისთვის მსგავსი ფართო განმარტების მინიჭება, მაშინ როცა საფრთხე ექმნება სხვა ადამიანის სამართლებრივად მნიშვნელოვან ინტერესს მართებულად არ მიმაჩნია. ხელის აღების შემთხვევაში პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება იმთავითვე არ გულისხმობს დამნაშავესთვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭებას, მაშინ ხომ დამნაშავე უფლებამოსილი იქნება არ შეწყვიტოს დანაშაულებრივი საქმიანობა და ბოლომდე მიიყვანოს ის. აღნიშნული კი ეჭვქვეშ დააყენებდა სსკ-ის 21 მუხლით დაზარალებულის დაცვის გარანტიებს. უნდა ითქვას ისიც, რომ ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი დამნაშავეს არც ვალდებულებას აკისრებს, დანაშაულის არ ჩადენის ვალდებულება მას ჯერ კიდევ, დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებამდე, ქცევის ზოგადსავალდებულო ნორმებით აქვს დაკისრებული, რომელსაც ეს უკანასკნელი უგულვებელყოფს. მაშასადამე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობით კანონმდებელი მართლაც მოუწოდებს ქმედების ჩამდენ პირს ისარგებლოს მისთვის მინიჭებული წამახალისებელი შესაძლებლობით, არ მიიყვანოს დანაშაული ბოლომდე და დაუბრუნდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებამდელ სამართლებრივ მდგომარეობას.

5.3. ხელყოფის დანაშაულზე ხელის აღება და საფრთხის შემქნელი დელიქტების დასჯადობის საკითხი

სსკ-ის 21-ე მ-ის მეორე ნაწილი შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „პირს, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს.“⁶⁸ ამდენად დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს პირი სრულად არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. ამის ფუფუნებას დამნაშავეს მის მიერ განხორციელებული ქმედებით სხვა დანაშაულის შემადგენლობის შესრულება არ აძლევს. მაგალითად თუ „ა“ მოკვლის მიზნით ესვრის „ბ“-ს მაგრამ დაჭრის, შემდეგ კი შეეცოდება და გადაარჩენს, ის მართალია

⁶⁸ სსკ-ი. 21-ე მ-ის მეორე ნაწილი

მკვლევლობის ნაწილში განთავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, მაგრამ თუ „ბ“-სთვის მიყენებული ზიანი მოიცავს ჯანმრთელობის დაზიანების შემადგენლობის ნიშნებს, „ა“-მ პასუხი უნდა აგოს განხორციელებული უმართლობისთვის შესაბამისი კვალიფიკაციით. საინტერესოა როგორ წყდება საკითხი საფრთხის შემქნელ დელიქტებთან მიმართებაში. შეიძლება თუ არა მკვლევლობაზე ხელის ამღები, პასუხისგებაში მიეცეს საფრთხის შემქნელი დელიქტის განხორციელებისთვის?

ისევე როგორც სხვა მრავალ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითაც განსხვავებული მოსაზრებებია დაფიქსირებული. ავტორთა ნაწილი თვლის, რომ ხელყოფის დელიქტის ბოლომდე განხორციელებისგან ხელის აღება ყოველთვის არ იწვევს დამნაშავის სრულ განთავისუფლებას პასუხისმგებლობისგან. დამნაშავე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო შეიძლება არ დაისაჯოს ხელყოფის დელიქტის მცდელობისთვის, მაგრამ თუ განხორციელებული ქმედება წარმოადგენს სსკ-ით გათვალისწინებულ საფრთხის შემქნელ დელიქტს, დამნაშავე საფრთხის შემქნელი დელიქტის განხორციელებისთვის დაისჯება.⁶⁹ აღნიშნული დებულების მიხედვით, მკვლევლობისგან ნებაყოფლობით ხელის აღება არ იწვევს დამნაშავის სრულ განთავისუფლებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. ის ვინც ხელს აიღებს მკვლევლობისგან, უნდა განთავისუფლდეს პასუხისმგებლობიდან მკვლევლობის მცდელობისთვის, მაგრამ დაისჯება საფრთხის შემქნელი დელიქტის გამო.⁷⁰

იურიდიულ ლიტერატურაში საკითხის გადაწყვეტისას ასევე ყურადღება ექცევა იმას, თუ როგორი საფრთხის შემქნელი ქმედება იქნა განხორციელებული, კონკრეტული თუ აბსტრაქტული, თუმცა ავტორთა ნაწილი მიუთითებს, რომ ამას არ შეიძლება ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების ნაწილში, არამედ მნიშვნელოვანია ის, დამნაშავის მიერ განხორციელებული ქმედება ქმნის თუ არა სხვა დამთავრებული ქმედების შემადგენლობას.

⁶⁹ ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და საფრთხის შემქნელი დელიქტები. თბ. 2015 გვ. 261

⁷⁰ ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და საფრთხის შემქნელი დელიქტები. თბ. 2015 გვ. 261-262

VI. თავი

6.1. ორგანიზატორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების საფუძვლები დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს

დანაშაულებივ ქმედებათა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე არც თუ იშვიათად საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევებთან, როდესაც დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობს ორი ან მეტი პირი. ჯერ კიდევ ძველი ქართული სამართალი იცნობდა დანაშაულის ჩადენის მსგავს კაზუსურ სიტუაციებს. რამდენიმე პირის მიერ განხორციელებული დანაშაულის ყველაზე მარტივ ფორმას ორი მონაწილის მიერ ჩადენილი შფოთი, ანუ „ორკერძოვე“ დანაშაული წარმოადგენდა.⁷¹ აღნიშნული პერიოდის თანამედროვე სამართლით ბრალი თანაბრად ნაწილდებოდა დანაშაულის ჩამდენ პირებზე. შედარებით გვიანდელი ქართული იურიდიული ტერმინოლოგია კი უკვე ერთმანეთისგან განასხვავებდა „განმზრახს“ ანუ წამქეზებელსა და დანაშაულის უშუალოდ ამსრულებელს. მიუხედავად ამისა თანამსრულებლისა და თანამონაწილის ცნებათა დღევანდელი მოცემულობით ჩამოსაყალიბებლად მაინც დიდი დრო იყო საჭირო. სისხლის სამართლის დოგმატიკაში განასხვავებენ თანამონაწილეობის ერთიან და დუალისტურ სისტემას. ერთიანი სისტემა არ ცნობს აქცესორობის პრინციპს, ანუ თანამონაწილეთა დასჯადობის დამოკიდებულებას ამსრულებლის დასჯადობაზე. შედეგად ყველა ვინც დანაშაულის ჩადენას შეუწყობს ხელს, მითითებული სისტემის მიხედვით დაისჯება როგორც ამსრულებელი.⁷² მაგალითად ამსრულებელია ის ვინც უშუალოდ განახორციელა პირის მკვლელობა და ისიც ვინც დაიყოლია მკვლელი აღნიშნული ქმედების ჩადენაზე.

ქართველი კანონმდებლები არ იზიარებენ ზემოთგანხილულ თანამონაწილეობის ერთიან სისტემას განზრახ დანაშაულთან მიმართებაში და შედეგად სსკ-ში ასახვა პოვა დუალისტურმა ანუ აქცესორულმა კონცეფციამ. აღნიშნულზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული განსახილველი თავის

⁷¹ ქ. მშედლიშვილი-ჰედრიხი., დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მერიდიანი, თბილისი 2013 გვ. 134

⁷² ქ. მშედლიშვილი-ჰედრიხი., დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მერიდიანი, თბილისი 2013 გვ. 136

ძირიდათი საკითხი რამდენადაც აქცესორული ბუნების უარყოფა აზრს დაუკარგავდა დამხმარის, წამქეზებლისა და ორგანიზატორის დანაშაულზე ხელის აღების დასჯადობაზე მსჯელობას. ამდენად თანამონაწილეობის არა ფართო, არამედ ვიწრო გაგებით ამსრულებელი არაა თანამონაწილე. სსკ-ის 22-ე მ-ის თანახმად ამსრულებელია ის პირი „ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული, ან სხვასთან (თანამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში. აგრეთვე ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის, ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.”⁷³ აქედან გამომდინარე კანონმდებელი ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ის პირი, რომელიც დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას უშუალოდ, თანამსრულებელთან ერთად ან ცოცხალი იარაღის მეშვეობით არ განახორციელებს ამსრულებლად არ ჩაითვლება.

რაც შეეხება თანამონაწილეობას ეს უკანასკნელი თავის თავში გულისხმობს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში და ერთმანეთისგან განასხვავებს ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს.⁷⁴ ღვადას არ იწვევს ის ფაქტი რომ დანაშაულში თანამონაწილეობა არის დანაშაულებრივი საქმიანობის სპეციფიკური ფორმა, რომელიც ნიშნავს სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე კონკრეტული დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობის ჯგუფურად განხორციელებას, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფურ დანაშაულს თავისი სპეციფიკა გააჩნია. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ორი ან მეტი პირი ერთობლივად ახორციელებს ამა თუ იმ დანაშაულებრივ შემადგენლობას.⁷⁵ როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამონაწილის მოქმედების კვალიფიკაცია დამოკიდებულია ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციაზე. მაგალითად, თუ ამსრულებლის მოქმედება მომზადების ან მცდელობის სტადიაზე შეჩერდა, თანამონაწილეს პასუხს აგებს დანაშაულის მომზადების ან მცდელობის მონაწილეობისათვის. ხოლო თუ ამსრულებელმა დაასრულა დანაშაული, თანამონაწილეს

⁷³ სსკ-ი. 22-ე მუხლი

⁷⁴ ქ. მშედლიძე-ილი-ჰედრიხი., დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მერიდიანი, თბილისი 2013 გვ. 140

⁷⁵ ნაჭყევაია გ., დვალაძე ი., „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი” თბილისი 2007 გვ. 189

დამთავრებული დანაშაულის მონაწილეობისათვის დაისჯება.⁷⁶ თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილის როლი უდუდესია, ერთ შემთხვევაში ის უნევს ორგანიზებას დანაშაულებრივ ქმედებას, მეორეს მხრივ ამ უკანასკნელმა შესაძლოა დაიყოლიოს ამსრულებელი დანაშაულის ჩადენაზე ან სულაც გარკვეული ფსიქოლოგიური თუ ტექნიკური საშუალებით ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩადენას. სხვა თუ არაფერი ამსრულებელმა შესაძლოა დამოუკიდებლად არათუ ვერ, არამედ არც ჩაიდინოს ესა თუ ის უმართლობა. ამდენად სრულიად ბუნებრივად ჩნდება კითხვა: თუ როგორ უნდა გადაწყდეს თანამონაწილის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს?

ორგანიზატორი როგორც თანამონაწილის ერთ ერთი სახე 1960 წლიდან ჩნდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, მანამდე კი ითვლებოდა, როგორც დანაშაულის ამსრულებელი.⁷⁷ მიუხედავდ იმისა რომ ის შესაძლოა სულაც არ იმყოფებოდეს დანაშაულის ადგილზე, მისი გავლენა დანაშაულის ჩადენაზე უდიდესია, რამდენადაც ეს უკანასკნელი ყოველთვის გამოირჩევა თავისი ორგანიზატორული, წარმმართველი, ხელმძღვანელობითი ფუნქციით. კერძოდ ორგანიზატორი შემოიკრებს და დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩააბამს ცალკეულ პირებს, აწინილებს მათ შორის როლებს ინდივიდუალური შესაძლებლობის გათვალისწინებით, აძლევს მათ შესაბამის დავალებას, იღებს ზომებს დანაშაულის ჩადენის გზაზე დაბრკოლებათა მოსახსნელად, დანაშაულის კვალის მოსასპობად და კონპირაციის მიზნით.⁷⁸ ორგანიზატორი ხელმძღვანელობს რა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათ ჯაჭვს მას გააჩნია კოგნიტური ელემენტის მაღალი დონე, მათში ხშირად შევხვდებით განათლებულ ადამიანებს. როგორც წესი იგულისხმება, რომ ორგანიზატორის განზრახვა მოიცავს დანაშაულის განვითარების თითოეულ ეტაპს, თუმცა გამონაკლისის სახით შეიძლება ვახსენოთ ამსრულებლის ექცესი. უარეს შემთხვევაში ორგანიზატორმა შესაძლოა შეაკავშიროს არა რომელიმე კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად ადამიანები, არამედ შექმნას ორგანიზებული ჯგუფი და ხელმძღვანელობდეს მის საქმიანობას. ამდენად ეს უკანასკნელი თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, რაც შეიძლება გამოიხატოს დანაშაულის

⁷⁶ გამყრელიძე ო., „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება“ თბილისი 2008 გვ. 192

⁷⁷ გამყრელიძე ო., „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება“ თბილისი 2008 გვ. 194

⁷⁸ ნაჭყეაია გ., დვალაძე ი., „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“ თბილისი 2007 გვ. 212

დადგევმაში, როლების გადანაწილებაში, მოქმედებათა თანმიმდევრობის განსაზღვრასა და ზოგადად დანაშაულის ორგანიზებაში, თანამონაწილეთა სახეებიდან ყველაზე მეტი საფრთხის შემცველი ფიგურაა საზოგადოებისთვის. მაგრამ თვით ასეთი ორგანიზებული და დანაშაულებრივ საქმიანობაზე მყარი გადანყვეტილების მქონე პიროვნებებიც კი ზოგჯერ ნებაყოფლობით იღებენ ხელს დანაშაულის ჩადენაზე.

სსკ-ის 21-ე მ-ის მე-3 ნაწილი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან ანთავისუფლებს დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს იმ შემთხვევაში, თუ მათ გადაარწმუნეს ამსრულებელი, დროულად შეატყობინეს ხელისუფლების ორგანოს ან სხვაგვარად შეუშალეს ხელი ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა. ძირითადი პრინციპი უცვლელია, კერძოდ ორგანიზატორმა საბოლოო და ნებაყოფლობითი გადანყვეტილებით ისეთი ქმედება უნდა განახორციელოს, რომლითაც დანაშაულის თანამონაწილეს ან ამსრულებელს არ მიეცემა დანაშაულის ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობა და შედეგი თავიდან იქნება აცილებული. თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულის დროს ხელის აღება შეუძლია, როგორც ამსრულებელს ისე თანამონაწილესაც. ამსრულებლის მიერ ნებაყოფლობით ხელის აღება თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე ავტომატურად როდის იწვევს თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან განთავისუფლებას. პირიქით, ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება სხვა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე არავითარ ზეგავლენას არ ახდენს, რადგან ნებაყოფლობითი ხელის აღება პასუხისმგებლობის გამომრიცხველი წმინდა პერსონალური გარემოებაა და არა ქმედების დანაშაულებრივი ხასიათის გამომრიცხველი გარემოება.⁷⁹ განსხვავებით ადრინდელი საბჭოური სამართლის დოგმატიკიდან სადაც ნებაყოფლობითი ხელის აღება იწვევდა არა მხოლოდ ნებაყოფლობით მიტოვებული დანაშაულის დაუსჯელობას, არამედ ქმედების დანაშაულებრივ ხასიათსაც სპობდა. მიუხედავად ამისა ორგანიზატორი წამქეზებელი და დამხმარე პასუხს დანაშაულის ჩასადენად პირობების მომზადებისთვის, ე.ი. დანაშაულის მომზადებისთვის აგებდნენ, რადგან საბჭოთა სისხლის სამართალი თანამონაწილეობის აქცესორულ (ამსრულებლის

⁷⁹ ქ. მშედლიშვილი-ჭედრიხი., დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მერიდიანი, თბილისი 2013 გვ. 113

ქმედებაზე დამოკიდებულ) ხასიათს უარყოფდა.⁸⁰ მაშასადამე ნებაყოფლობით ხელის აღება, როგორც წამახალისებელი ნორმა, წარმოადგენს მხოლოდ პასუხისმგებლობისაგან პერსონალური გათავისუფლების საფუძველს, რომელიც თავის მხრივ შეესაბამება თანამონაწილეთა აქცესორულ ბუნებასა და პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის სპეციფიკას.⁸¹ მეტიც, ერთ ერთი თანამონაწილის მიმართ არსებული უაღრესად პერსონალური ხასიათის გარემოება, რომელიც გამორიცხავს პასუხისმგებლობასა და სასჯელს, ან იწვევს მათგან განთავისუფლებას, ანდა ამძიმებს ან ამსუბუქებს პასუხისმგებლობასა და სასჯელს, არ ვრცელდება სხვა თანამონაწილეებზე. აღნიშნული მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ თანამონაწილეთა მიმართ, რომელსაც ეს გარემოება ეხება.⁸² ამიტომაცაა, რომ თანამონაწილე პასუხს არ აგებს ამსრულებლის ექსცესისთვის, ანუ ამსრულებლის ისეთ მოქმედებაზე, რომელიც გასცდა საერთო განზრახვით მოცემულ ფარგლებს. ასეთ დროს ამსრულებელი უხვევს წინასწარი შეთხმებიდან, სჩადის უფრო მძიმე ქმედებას, ან კიდევ სულ სხვა დანაშაულს, ვიდრე ამას საერთო განზრახვა ითვალისწინებდა და ბუნებრივია რომ თანამონაწილეს ვერ დავსჯით ამსრულებლის მიერ განხორციელებული სხვა უმართლობისთვის. ამდენად ამსრულებლის მიერ ნებაყოფლობით ხელის აღების დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ნაკლებ პრობლემურია. მაგალითად თუ „გ“ უწევს „ა“-ს მიერ „ბ“-ს მკვლელობას ორგანიზებას, მაგრამ „ა“ ნებაყოფლობით აიღებს ხელს მკვლელობის სტადიაზე „ბ“-ს მკვლელობაზე გადამწყვეტ მომენტში, „გ“ მაინც აგებს პასუხს სსკ-ის კერძო წინილის შესაბამისი მუხლით მკვლელობაზე მითითებით.

რაც შეეხება თვითონ ორგანიზატორის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევებს, კანონმდებელი ხელის აღების წინაპირობებს უფრო მკაცრ ფორმულირებას აძლევს, რაც თავის მხრივ განპირობებულია რამდენიმე პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის მომეტებულ საფრთხიდან გამომდინარე. ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ დანაშაულის მიზეზობრიობიდან უბრალო გამოთიშვა, არამედ თითოეული მონაწილე სერიოზულად უნდა გაისარჯოს, რათა თავიდან იქნას აცილებული

⁸⁰ თ. წერეთელი., „დანაშაულის მომზადება და მკვლელობა“ თბილისი 1961 გვ. 243

⁸¹ ხარანაული ლ., დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ხელმძღვანელი: მ. ტურავა თბილისი, 2013, გვ. 343

⁸² დ.სულაქველიძე., დისერტაცია „ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე“ თბილისი 1992, გვ. 188

დანაშაულებრივი შედეგი.⁸³ ამდენად ორგანიზატორის ისევე როგორც, სხვა თანამონაწილეთა მოქმედება მიმართული უნდა იყოს ამსრულებლისთვის ხელის შეშლისკენ. ერთ ერთ ასეთ გამოვლინებას სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად წარმოადგენს ამსრულებლის გადარწმუნება, ანუ როდესაც პირს გადაწყვეტილი აქვს დანაშაულის ჩადენა და ორგანიზატორი შეძლებს მის დაყოლიებას, რომ ხელი აიღოს განზრახულის ჩადენაზე. ზემოთ მოყვანილი მაგალითის საფუძველზე რომ განვიხილოთ თუ „გ“ უწევს „ა“-ს მიერ „ბ“-ს მკვლელობას ორგანიზებას, მაგრამ შემდეგ გადააფიქრებინებს „ა“-ს განზრახულის განხორციელებას, რითაც გადაარჩენს „ბ“-ს სიცოცხლეს „გ“-ს მიმართ შევძლებთ გამოვიყენოთ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმა. ამსრულებლის გადარწმუნება შეუძლია როგორც, ორგანიზატორს, ისე წამქეზებელსა და ფსიქიკურ დამხმარესაც. შესაძლებელია, რომ ორგანიზატორმა გადაარწმუნოს, როგორც ამსრულებელი ისე სხვა თანამონაწილე. მაგალითად სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება ორგანიზატორს მაშინაც, თუ ის გადაარწმუნებს დამხმარეს, რომ არ მისცეს იარაღი ამსრულებელს, რომლის არ ქონის გამოც ეს უკანასკნელი დანაშაულს ვეღარ ჩაიდენს. გადარწმუნების გარდა, რომელიც მეტწილად ფსიქოლოგიურ მხარეს მოიცავს, კანონმდებელი ასევე უშვებს „სხვაგვარი ხელის შეშლის“ შესაძლებლობასაც, როგორცაა მაგალითად თანხის გადახდა, შეპყრობა, თხოვნა და ა.შ. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ორგანიზატორი ან წამქეზებელი ხელის აღების მოტივით ხელს უშლის ამსრულებელს მკვლელობის ბოლომდე მიყვანაში, მაგრამ ამსრულებელი ამის მიუხედავად, მაინც მოასწრებს დაზარალებულისათვის ჯანმრთელობის დაზიანებას. ამ შემთხვევაში ორგანიზატორი ან წამქეზებელი ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებაში თანამონაწილეობისათვის უნდა დაისაჯოს,⁸⁴ ვინაიდან თანამონაწილეს, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ მის მიერ ფაქტიურად ჩადენილ ქმედებასა და მასთან დაკავშირებული შედეგისათვის.⁸⁵

⁸³ ხარანაული ლ., დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ხელმძღვანელი: მ. ტურავა თბილისი, 2013, გვ. 343

⁸⁴ ხარანაული ლ., დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ხელმძღვანელი: მ. ტურავა თბილისი, 2013, გვ. 344

⁸⁵ დ.სულაქველიძე., დისერტაცია „ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე“ თბილისი 1992, გვ. 190

ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორგანიზატორი, როგორც თანამონაწილის ერთ ერთი სახე, მხოლოდ იმ შემთხვევაში გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის თუ მის მიერ განხორციელებლმა „ხელშემშლელმა“ ქმედებებმა რეალურად გამოიღო შედეგი რაც გამოხატა ამსრულებლის მიერ დანაშაულის ვერ დასრულებასა და სამართლებრივი სიკეთის გადარჩენაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზატორის მიერ განხორციელებულ „ხელშემშლელ“ ქმედებებს სსკ-ის 21 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად გაითვალისწინებენ, როგორც პასუხისმგებლობის შემასუბუქებელ გარემოებად.

6.2. წამქეზებლის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების საფუძვლები დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს.

დანაშაულის თანამონაწილეთა შორის წამქეზებელი ყველაზე რთული და მრავალმხრივი ფიგურაა. ამსრულებლის და წამქეზებლის სამართლებრივი ფიგურები განუყრელადაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან. სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „წამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი დანაშაულის ჩასადენად“. ამდენად წამქეზებლის მიერ განხორციელებული ქმედებ ადანაშაულის ჩადენასთან მიზეზობრივად უნდა იყოს დაკავშირებული. მან ამსრულებელი დანაშაულის ჩადენაზე უნდა დაიყოლიოს . ე.ი. ამ უკანაკნელს დანაშაულის ჩადენის გადანწყვეტილება აღუძრას.⁸⁶ სწორედ ამ კომპონენტით განსხვავდება ის ინტელექტუალური ანუ ფსიქიკური დამხმარისგან, ვინაიდან წამქეზებელი ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადანწყვეტ მოტივს უქმნის, დანაშაულის ჩადენის გადანწყვეტილებას აღებინებს. მაშინ როდესაც ფსიქიკური დამხმარე ამსრულებელს უკვე მიღებულ გადანწყვეტილებას განუმტკიცებს.⁸⁷ მაგალითად

⁸⁶ ე. მშედლიშვილი-ჭედრიხი., დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მერიდიანი, თბილისი 2013 გვ. 219

⁸⁷ გამყრელიძე ო., „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება“ თბილისი 2008, გვ. 196

ნამქეზების ზემოქმედებით პირი გადაწყვეტს ჩაიდინოს მკვლელობა, თუმცა დამხმარის საშუალებით, რომელიც დანაშაულის დატარვას პირდება, ეს გადაწყვეტილება უფრო მყარდება. ნაქეზება შეიძლება გამოიხატოს თხოვნაში, დაპირებაში, დარწმუნებაში, მუქარაში, ბრძანებასა და სხვა. რაც თავის მხრივ დამოკიდებულია მასრულების პიროვნებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით ცალსახაა, რომ ნამქეზებლობა თავის თავში მოიაზრებს ამსრულებელთან ინტელექტუალურ კონტაქტს, რომლის განხორციელებაც გაუფრთხილებლობით გამორიცხებულია. მეტიც. ნამქეზებელი როგორც წესი გამოირჩევა ადამიანთა ფსიქიკის სუსტი მხარეების ოსტატური გამოყენების ხელოვნებით, წინასწარ სწავლობს მომავალი ამსრულებლის პიროვნებას, დანაშაულის მსხვერპლთან მისი დამოკიდებულების ხასიათს და მოხერხებულად იყენებს მას ნამქეზებლური საქმიანობის ეფექტურობისთვის.⁸⁸ ერთი შეხედვით ვინაიდან ნამქეზებელი დანაშაულის ჩადენის უშუალო ინიციატორია ამ მხრივ უახლოვდება ორგანიზატორის ფუნქციას, მაგრამ მაინც განსხვავდება მისგან.⁸⁹ ნამქეზებლისთვის საკმარისია, რომ მან აღუძრას დანაშაულებრივი სურვილი ამსრულებელს, რომელიც შემდეგ ამის საფუძველზე ჩაიდენს კიდევ დანაშაულს, სხვა ორგანიზაციული საკითხები მას არ ეხება.

სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ნამქეზებელიც ორგანიზატორის მსგავსად თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის. ამისათვის კი ნამქეზებელმა პირველ რიგში უნდა გადაარწმუნოს ამსრულებელი. აღნიშნული კი შესაძლოა იმაზე რთული იყოს ვიდრე დანაშაულის ჩადენაზე პირის დარწმუნება. ამიტომ ნამქეზებლის ყველა მოქმედება მიმართული უნდა იყოს ამსრულებლის გადარწმუნებისთვის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნამქეზებელმა ისეთი რამ უნდა გააკეთოს, რომ მისი წინარე ქმედება როგორმე მოაშოროს, მოაცილოს მიზეზობრიობის ჯაჭვიდან.⁹⁰ ლ. ხარანაული აღნიშნავს, რომ: „ამსრულებლის გადარწმუნება, ერთ შემთხვევაში ხელის აღებად მიიჩნევა მაშინ, როდესაც ამსრულებელს გადაწყვეტილი აქვს დანაშაულის ჩადენა და თანამონაწილეები შეძლებენ მის დაყოლიებას, ხელი აიღოს დანაშაულის ჩადენაზე. მაგალითად „ა“-მ ნააქეზა „ბ“ მოეკლა „გ“ მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ „ა“-მ გადაიფიქრა „გ“-ს მოკვლა და დაარწმუნა ამსრულებელი ხელი აეღო

⁸⁸ ნაჭყეია გ., დვალაძე ი., „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“ თბილისი 2007 გვ. 2014

⁸⁹ იხ. იქვე გვ. 213

⁹⁰ დ.სულაქველიძე., დისერტაცია „ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე“ თბილისი 1992, გვ. 201

დანაშაულის ჩადენაზე. მეორეს მხრივ, ნებაყოფლობით ხელის აღებად განიხილება ისეთი შემთხვევა, როდესაც წამქეზებელს შეცდომით ჰგონია, რომ ამსრულებელი დაარწმუნა დანაშაულის ჩასადენად და შემდეგ შეეცდება მის გადარწმუნებას, არ ჩაიდინოს დანაშაული. სინამდვილეში, ამსრულებელს თავიდანვე არ ჰქონდა განზრახული დანაშაულის ჩადენა და თანამონაწილის ცდა პირველივე ჯერზე უშედეგო აღმოჩნდა. მაგალითად „ა“ შეეცდება „ბ“-ს დაყოლიებას მკვლელობის ჩასადენად, „ა“-ს ეგონა რომ მისმა ძალისხმევამ დაერწმუნებინა „ბ“ მოეკლა „გ“ შედეგი გამოლო, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ, „ა“-მ გადაიფიქრა „გ“-ს მოკვლა, დაუკავშირდა „ბ“-ს და შეეცადა მისი წარმოდგენით წაქეზებული „ბ“-ს გადარწმუნებას.⁹¹ აქვე უნდა ითქვას, რომ განხილული მაგალითი ჰგავს უშედეგო წაქეზების შემთხვევას, რა დროსაც პირი პასუხს აგებს სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე დანაშაულის მომზადებისთვის. გაბატონებული მოაზრების თანახმად ავტორთა ნაწილი მიუთითებს მოცემულ ეპიზოდში მომზადების დასჯადობის აუცილებლობაზე მისი მომეტებული საფრთხიდან გამომდინარე, თუმცა ავტორთა მეორე ნაწილის აზრით კი უშედეგო წაქეზების დასჯადობა შეუტავსებელია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან. ვინაიდან ერთი მხრიდან მეორის დაყოლიების უშედეგო ცდა მომზადებას, რომელიც დანაშაულის განვითარების სტადიაა, დამთავრებულ ხასიათს სძენს, რადგან პოტენციური ამსრულებლის უარი - ჩაიდინოს დანაშაული, პოტენციურ წამქეზებელს ართმევს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შანსს, მოიხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ „მომზადების“ სტადიაზეა, განსხვავებით დანაშაულის ნამვილი მომზადებისგან და აღნიშნულით იკვეთება იმ პირთა შედარებით უფრო მკაცრად დასჯის შესაძლებლობა, რომელმაც შეძლო და დაიყოლია მავანი.⁹²

წამქეზებელი, არის რა დანაშაულის განხორციელების ერთ ერთი იდეოლოგი, კანონმდებელი მასაც ორგანიზატორის მსგავსად პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისთვის მაღალ სტანდარტებს უწესებს. მაგალითად თუ პირი წააქეზებს ამსრულებელს დანაშაულის ჩასადენად და ურჩევს კიდევ დამხმარისგან იარაღის შეძენას, ხოლო შემდგომ გადაიფიქრებს დანაშაულის ჩადენას და ეცდება ამსრულებლისთვის ხელის შეშლას, რაც

⁹¹ ხარანაული ლ., დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ხელმძღვანელი: მ. ტურავა თბილისი, 2013, გვ. 343-344

⁹² გეგელია თ., სადისერტაციო ნაშრომი, „ დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები“ თბილისი 2018 გვ. 51-52

გამოიხატება დამხმარის დაყოფაში იარაღის არ მინოდებაზე წამქეზებელი გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იარაღის არ ქონის გამო ამსრულებელი ვერ დაასრულებს დანაშაულს, ხოლო თუ ამ უკანასკნელმა სხვა საშუალებით მოახერხა დასახული დანაშაულის ჩადენა ამსრულებელი ნებაყოფლობით ხელის ალების გამო პასუხისმგებლობიდან არ გათავისუფლდება. ასეთ დროს წამქეზებლის თავდაპირველი მოქმედება მოუცულებად მიზემობრივ ჯაჭვშია დამდგარ შედეგთან. თუმცა პროტესორ მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ თანამონაწილენი მაშინაც უნდა გათავისუფლდნენ პასუხისმგებლობიდან, როცა მათ ყველა ღონისძიება იხმარეს დანაშაულის თავიდან ასაცილებლად მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ასეთ მიდგომას საკითხისადმი იმით ხსნიან, რომ ამსრულებელი ხშირად პირადად არის დაინტერესებული დანაშაულის დასრულებით, მოქმედებს პირადი მოტივებით და ამიტომ ტანამონაწილენებს ყოველთვის არ ძალუძთ შეიკავონ ის ხელი, რომელიც დამნაშავემ მათი უშუალო ზეგავლენით აღმართა მსხვერპლზე. თუმცა აღნიშნული მოსაზრება სამართლიანდ იქნა გაქრიტიკებული დ. სლაქველიძისა და თ. წერეთლის მიერ, ვინაიდან მოყვანილი თვალსაზრისი არ შეესაბამება დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის ალებისთვის კანონით დადგენილ პირობებსა და საზღვრებს.⁹³ თანამონაწილენი გათავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ მიღებული ღონისძიებებით დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება თავიდან იქნა აცდენილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მოქმედება, მიმართული დანაშაულებრივი შედეგის ასაცდენად შეიძლება გახდეს საფუძველი მხოლოდ სასჯელის შემსუბუქებისა.⁹⁴ ეს უკანასკნელი სრულ თანხვედრაშია სსკ-ის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნებთან. ცალკე ყურადღების ღირსია ისეთი შემთხვევა, როდესაც წამქეზებელმა ამსრულებელს მკვლელობის ჩადენაზე ხელი აალებინა, მაგრამ მესამე პირმა, რომლის შესახებ პირველმა წამქეზებელმა არ იცოდა აიძულა ამსრულებელი ჩადენა იგივე დანაშაული. მოცემულ შემთხვევაში, პირველ წამქეზებელს ნებაყოფლობით ხელის არების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.⁹⁵ მართალია ის შედეგი, რომელიც პირველი წამქეზებლის

⁹³ დ.სულაქველიძე., დისერტაცია „ნებაყოფლობით ხელის ალება დანაშაულის ჩადენაზე“ თბილისი 1992, გვ. 201-202

⁹⁴ წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი I., თბ. 2007., გვ 561

⁹⁵ ხარანაული ლ., დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ხელმძღვანელი: მ. ტურავა თბილისი, 2013, გვ. 344

თავდაპირველი განზრახვით იყო მოცული განხორცილდა, მაგრამ აქ გადაწყვეტია არა შედეგის დადგომის ფაქტორი, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის სხვა ძირითადი პირობები, კერძოდ ნებაყოფლობითობა, რომელიც სახეზეა და პირველი წამქეზებლის ქმედება მიზეზობრივად არ არის დაკავშირებული დამდგარ შედეგთან.⁹⁶

სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი გარდა დარწმუნებისა, ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების წინაპირობად ასევე მიიჩნევს ხელისუფლების ორგანოსთვის დროულ შეტყობინებას და სხვაგვარ ხელის შეშლას. ხელისუფლების ორგანოსთვის დროული შეტყობინება მარტივად გასაგებია, თუმცა სხვაგვარი ხელის შეშლა გარკვეულ განმარტებას მოითხოვს. აქ ბუნებრივია ისეთი ხელის შეშლა არ იგულისხმება, რომ აახლი დნასაულის ჩადენას ჩაუყაროთ საფუძველი, მიუხედავდ იმისა, რომ ეს შეიძლება გამოიხატოს, როგორც შეპირებით, თხოვნითა და თანხის გადახდით, ისე შეპყობით, იარაღზე ხელის აკვრითა და ფიზიკური ძალის გამოყენებით. კონკრეტულ შემთხვევაში ამოსავალი არის ის, რომ კანონის ფარგლებში თავიდან იქნას აცილებული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. საინტერესოა რომ „სხვაგვარ ხელის შეშლად“ მოიაზრებენ ასევე ისეთ შემთხვევას, როდესაც წამქეზებელი თავიდან წააქეზებს ამსრულებელს მკვლელობის ჩდენაზე, ხოლო შემდეგ გადაიფიქრებს აღნიშნულს და ვინაიდან სხვა საშუალება მკვლელობის თავიდან ასაცილებლად აღარ არსებობს დაარწმუნებს ამსრულებელს მსხვერპლის მოკვლის ნაცვლად, ამ უკანასკნელისთვის ჯანმრთელობის დაზიანების მიყენებაზე. ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში მკვლელობასთან მიმართებაში გვაქვს ნებაყოფლობითი ხელის აღების მომენტი წამქეზებლის მხრიდან, მაგრამ საინტერესოა პასუხისმგებლობის საკითხი. ერთის მხრივ „რისკის შემცირების თეორიის“ თანახმად უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენისთვის პირი არ დაისჯება წაქეზებისთვის, არამედ გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან ობიექტური შერაცხვის არარსებობის გამო, თუმცა მეორეს მხრივ განსახილველ მაგალითში ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ წამქეზებელი, თავდაპირველად, თავად გახდა უფრო დიდი რისკის განზრახ შექმნის ინიციატორი და ამ უკანასკნელს შედეგი (ჯანმრთელობის დაზიანება) ობიექტულად შეერაცხება. მიუხედავად ამისა შეაძლებელია, რომ მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ

⁹⁶ დ. სულაქველიძე, „დამხმარის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება“ ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ N1 თბილისი 1985 გვ. 36

დაეკისროს სსკ-ის 38 მუხლის საფუძველზე ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოების გამო.⁹⁷

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით წამქეზებელი უქმნის რა ამსრულებელს დანაშაულის ჩასადენად ისეთ ძლიერ მოტივს, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ბიძგს გადანყვეტილების მისაღებად, კანონმდებელი უნესებს წამქეზებელს ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების მაღალ სტანდარტს, რომლისთვისაც საკმარისი არ არის მხოლოდ დანაშაულის მიზეზობრიობიდან უბრალო გამოთიშვა, არამედ ავალდებულებს მას, რომ სერიოზულად გაისარჯოს, რათა თავიდან იქნას აცილებული დანაშაულებრივი შედეგი.

6.3. დამხმარის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების საფუძვლები დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს.

დანაშაულში თანამონაწილეობის მესამე და მეტად სფეციფიკური სახეა დახმარება. სსკ-ის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად დახმარება, ის ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას. აღნიშნული კი შეიძლება გამოიხატოს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ანუ ინტელექტუალური ფორმით. შესაბამისად დახმარეც ორი სახისაა: ფიზიკური და ფსიქიკური დახმარე.

დანაშაულის ჩადენაში დახმარება განსხვავდება, უპირველეს ყოვლისა, ორგანიზატორული საქმიანობისგან. თუ ორგანიზატორი დანაშაულის ჩადენის ორგანიზატორია, დამხმარის როლი ამ მხრივ მეორეხარისხოვანია. მეტიც, ზოგიერთ ავტორთა აზრით დახმარე თანამონაწილეობის ყველაზე სუსტი ფორმაა.⁹⁸ ამ უკანასკნელს არც დანაშაულის ჩადენის იდეა ეკუთვნის და არც ამ იდეის გავრცელება და სხვებისთვის ჩანერგვა, მაგრამ სადაც დახმარე არსებობს, მას თავისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მოქმედებით მნიშვნელოვანი წვლილი

⁹⁷ ხარანაული ლ., დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ხელმძღვანელი: მ. ტურავა თბილისი, 2013, გვ. 345-346

⁹⁸ ტურავა. მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა თბ. 2013 გვ. 332

შეაქვს ერთიანი უმართლობის განხორციელებაში.⁹⁹ კანონმდებელი სამართლიანად არ აკონკრეტებს დახმარების გამოვლენის ფორმებს, რადგან ის განსხვავებულია ამა თუ იმ საქმის ვითარებიდან გამომდინარე და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარკვეული თავისებურება ახასიათებს. ზოგადად კი ფიზიკური დახმარება შეიძლება გამოიხატოს დანაშაულის ჩადენის იარაღისა თუ სხვა საშუალების გადაცემაში, დანაშაულის ჩადენის გზაზე ფიზიკური დაბრკოლებების მოხსნით, მორგებული გასაღების დამზადებით და ამსრულებელზე მისი გადაცემით, დანაშაულის ადგილის წინასწარი მომზადებით და ა.შ.¹⁰⁰ ფიზიკურ დამხმარეს ხშირად აიგივებენ დანაშაულის ამსრულებელთან, განსაკუთრებით მაშინ თუ ეს უკანასკნელი ამსრულებლისთვის დაბრკოლებათა „მოშორებითა“ დაკავებული, თუმცა სამართლიანად მიუთითებს ო. გამყრელიძე, რომლის აზრითაც საკითხის ასე გაგება არ იქნება სწორი. ამსრულებელი ხომ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილი ქმედების შემადგენლობას ახორციელებს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ როცა დამხმარე შემადგენლობის არც ერთ ნაწილს არ ასრულებს.¹⁰¹ ანუ მისი საქმიანობა მხოლოდ დანაშაულის ცასადენად საჭირო იარაღის და საშუალებათა მიწოდებით, დაბრკოლებათა თავიდან აცილებით და სხვაგვარის დახმარებით შემოიფარგლება.¹⁰²

რაც შეეხება ფსიქიკურ დამხმარეს, ეს უკანკნელი გამოიხატება დანაშაულის ჩასადენად რჩევა-დარიგების მიცემაში, დამნაშავის და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების დათარვის წინასწარ შეპირებაში, ამსრულებლის მიერ უკვე მიღებული დანაშაულის ჩადენის გადანყვეტილების განმტკიცებაში და ა.შ. სწორედ ამ უკანკნელი ნიშნით განსხვავდება ფსიქიკური დამხმარე წაქმეზბლისგან. თ. წერეთლის თქმით „წამქეზბელი ჰქმნის გადამწყვეტ მოტივს ამსრულებლის გადანყვეტილების მიღებისთვის“ ხოლო ფსიქიკური დამხმარე ასეთ მორივს კი არ აღძრავს, არამედ უკვე მიღებულ გადანყვეტილებას განამტკიცებს, რის შედეგადაც ამსრულებელი უფრო დავდაჯერებული და უყოყმანო ხდება. ამიტომაცაა, რომ წამქეზბელი მეტად საშიშ ფიგურად აღიქმება თაანამონაწილეთა ჯაჯვში დამხმარესთან შედარებით.

⁹⁹ ნაჭყეზია გ., დვალისძე ი., „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“ თბილისი 2007 გვ. 2016

¹⁰⁰ იბ. იქვე გვ. 2017

¹⁰¹ გამყრელიძე ო., „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება“ თბილისი 2008 გვ. 199

¹⁰² ქ. მშედლიშვილი-ჰედრიხი., დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მერიდიანი, თბილისი 2013 გვ. 232

სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი სხვა თანამონაწილეთა მსგავსად დამხმარესაც ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ. დამნაშავის გადარწმუნება, რაც თავის მხრივ შეუძლია ფსიქიკურ დამხმარესაც, საერთოა ყველა თანამონაწილესთვის. იგივე შეიძლება ითქვას სახელმწიფო ორგანოებისთვის შეტყობინებასა და სხვაგვარ ხელის შეშლაზე. საგულისხმოა რომ კანონმდებელი აღნიშნული ჩანაწერით, ნებაყოფლობით ხელის აღების ცნებიდან გამომდინარე, თანამონაწილეთათვის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ერთ-ერთ სავალდებულო წინაპირობად უთითებს დანაშაულის დაუმთავრებლობასა და შედეგის თავიდან აცილებას. მიუხედავად ამისა დამხმარის მიმართ დაშვებულია ერთგვარი გამონაკლისი. კერძოდ სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების დეფინიციიდან გამომდინარე, დანაშაულებრივი შედეგის მიუხედავად, დამხმარე თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, თუ ეს უკანასკნელი ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე უარს განაცხადებს შეპირებული ქმედების შესრულებაზე ან დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნებს გადაცემულ იარაღს ან სხვა საშუალებას. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას რომ განსახილველ მუხლში კანონმდებელი არ კონკრეტებს თუ როგორი სახის დამხმარეზეა აქ საუბარი. ძველად მოქმედი 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილი წამქეზებლისა და ორგანიზატორის თანაბრად მოითხოვდა ყველა დამხმარისგან დანაშაულებრივი შედეგის ასაცდენად შესაბამისი ზომების მიღებას.¹⁰³, თუმცა დღეს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი საკითხს განსხვავებულად არეგულირებს. მართებულად შენიშნავს ო. გამყრელიძე, რომ, როდესაც დამხმარე ამსრულებელს გარკვეულ რჩევა-დარიგებას აძლევს და უზიარებს საკუთარ კრიმინალურ გამოცდილებას, რაღაც თვალსაზრისით უთანაბრდება წამქეზებელს და ამ უკანასკნელის მსგავსად მასაც მოეთხოვება დანაშაულის ბოლომდე არ მიყვანის სტანდარტი. დამხმარემ ამ დროს ყველა ზომა უნდა მიიღოს, რომ ამსრულებელმა არ ისარგებლოს მის მიერ მიცემული რჩევა-დარიგებებით. სწორედ ასეთი დამხმარეა ნაგულისხმევი სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველ წინადადებაში. რაც შეეხება ფსიქიკური დამხმარების ისეთ გამოვლინებას, როცა დამხმარე პირდება ამსრულებელს გარკვეული ქმედების შესრულებას, მაგალითად კარის ღიად დატოვებას, დანაშაულის დაფარვას და ა.შ.

¹⁰³ გამყრელიძე ო., „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება“ თბილისი 2008 გვ. 174

მაგრამ შემდეგ შეატყობინებს ამ უკანსკნელს პირვანდელი შეპირების გადაფიქრების შესახებ, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად გათავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან. მაგრამ კანონმდებელი ამის წინაპირობად აწესებს დანაშაულის დანყებამდე შეტყობინების განხორციელებას, რაც ავტორთა ნაწილის აზრით დამხმარეს გრკვეულწილად უზღუდავს ნებაყოფლობით ხელის აღების უფლებას, რის გამოც ლ. ხარანაულის აზრით სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადებაში სიტყვები „... დანაშაულის დანყებამდე ...“ უნდა შეიცვალოს სიტყვებით „დანაშაულის დასრულებამდე“.¹⁰⁴ ბევრად მარტივად წყდება საკითხი ფიზიკური დახმარების დროს, როდესაც ფიზიკურ დამხმარეს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება. მაგალითად დამხმარე ამსრულებელს გადასცემს ცეცხლსასროლ იარაღს, რომლითაც ამსრულებელმა სიცოცხლე უნდა მოუსწრაფოს მსხვერპლს, მაგრამ შემდეგ თუ დამხმარე გადაწყვიტს ხელი აეღოს დანაშაულზე და უკან დაიბრუნებს ამსრულებლისთვის გადაცემული ნივთს, სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. თავის მხრივ დაბრუნება შეიძლება გამოიხატოს ძალით ან ნებით გამორთმევაში, დამალვაში და ა.შ. მთავარი და ამოსავალი კონკრეტულ შემთხვევაში გახლავთ ის, რომ დამხმარე გამოეთიშოს იმ მიზეზობრივ ჯაჭვს, რომელშიც თავად იყო ჩართული და დანაშაულის დამთავრებისკენ იყო მიმართული. თუ ამსრულებელის ხვა საშუალებით მაინც განახორცილებს დანასაულებრივ ქმედებას დამხმარე ამაზე პასუხისმგებელი უკვე აღარ იქნება.

მაგრამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან არ თავისუფლდება ის დამხმარე, რომელიც, მართალია, უკან იბრუნებს დამნაშავისათვის გადაცემულ საშუალებას, მაგრამ იგი მაინც ვერ აღწევს თავს იმ მიზეზობრივ ჯაჭვს, რომელშიც იგი თავდაპირველად თავისი ქმედებით ჩაერთო. მაგალითად თუ „ა“-მ „ბ“-ს ქურდობის ჩადენამდე გამოართვა გასაღები ნაქურდალის შესანახად. „ბ“-მ მისცა „ა“-ს გასაღები, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გადაიფიქრა დანაშაულში თანამონაწილეობა და დაიბრუნა გასაღები. თუმცა გასაღების დაბრუნებამდე „ა“-მ

¹⁰⁴ ხარანაული ლ., დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ხელმძღვანელი: მ. ტურავა თბილისი, 2013, გვ. 349

ჩუმად დაამზადა ასლი, რის შედეგადაც მან მაინც მოახერხა ბინაში ნაქურდალი ნივთების შენახვა.¹⁰⁵

ზემოთთქმულის გათვალისწინებით დამხმარე ის ერთადერთი გამონაკლისია თანამონაწილეთა სახეებიდან, რომელიც დანაშაულის დასრულებისა და დანაშაულებრივი შედეგის დადგომის მიუხედავად, გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ მაინც თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან.

¹⁰⁵ ხარანაული ლ., დისერტაცია დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ხელმძღვანელი: მ. ტურავა თბილისი, 2013, გვ. 349

თავი VII. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

როგორც დასაწყისში ითქვა, ადამიანი თავისი სოციალური ბუნებიდან გამომდინარე ნებისმიერი დანაშაულის ჩადენის წინ უსვამს საკუთარ თავს კითხვას, ღირს თუ არა ამის გაკეთება? და აქვს თუ არა უკან დასახვევი გზა შექმნილი სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე? ნაწილი მათგანი რეალურად ცდილობს და იღებს კიდევ ნებაყოფლობით ხელს დანაშაულებრივ ქმედების განხორციელებაზე, მიუხედავად ზნეობრივი თუ არაზნეობრივი მოტივისა, ნაწილი კი სრულად ანხორციელებს დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობას, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ თუ მათ მიერ განხორციელებულ ქმედებაში ოდნავ მაინც არის ხელჩასაჭიდი ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის, ადვოკატი აუცილებლად ეცდება სასამართლო პროცესზე მასზე აპელირებას. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო პრაქტიკაში მოსამართლეებმა დიდი ყურადღება დაუთმონ ამ ნაწილს და ერთის მხრივ არ მოხდეს რეალურად, ნებაყოფლობით ხელის ამღების უსამართლოდ დასჯა და პირიქით, თვალთმაქცური ქცევის ნებაყოფლობით ხელის აღებად გასაღება. ქვემოთ განხილული იქნება რამდენიმე შემთხვევა სასამართლო პრაქტიკიდან როცა ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი მეტად აქტუალური გახდა კვალიფიკაციის სწორად ჩამოსაყალიბებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული გადაწყვეტილების (საქმის N 2კ-1273აპ.-08 და N 2კ-1284აპ.-08) შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ ბორჯომის რაიონული სასამართლოს 14 თებერვლის განაჩენით „მ.პ.“ და „მ. მ.“ ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილისა „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით 6 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლით ჯარიმა 1000 ლარი და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით თავისუფლების აღკვეთა - 3 წლის ვადით. 19,137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით - 9 წლით თავისუფლების აკვეთა. ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა ჯგუფურად ჩადენილი გაუპატიურების მცდელობის შემადგენლობას. სწორედ ამ ნაწილშია საინტერესო ჩვენთვის აღნიშნული გადაწყვეტილება.¹⁰⁶ საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, რომ 2007

¹⁰⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება - <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

წლის 6 სექტემბერს, „მ.პ.“; „მ.მ.“; „რ.ო.“; და „რ.ბ.“ წინასწარი შეთანხმებით, შეიარაღდნენ „მ.პ.“-სის მიერ უკანონოდ, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეძენილი თვითნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღით, რომელსაც იგი უკანონოდვე ინახავდა და ატარებდა. ღამის 22 საათზე ისინი მივიდნენ ბორჯომის რაიონის სოფ. „ტ-ში“ მიმდებარე ტყის პირას, სადაც იმყოფებოდნენ ისრაელის სახელმწიფოდან ჩამოსული, ქ, იერუსალიმის უნივერსიტეტის სტუდენტები და ისვენებდნენ კარავებში. „მ.პ.“-მ ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით თანამზრახველებთან ერთად თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის - ყაჩაღობის სისრულეში მოყვანის მიზნით, მიწაზე დააწვინეს დაზარალებულები და უბრძანეს, მიეცათ ფული. შემდეგ კი ცალ-ცალკე შეიყვანეს კარავში, სადაც თითოეულ მათგანს წაართვეს გარკვეული ოდენობის თანხა და ნივთები, რის შემდეგაც იქაურობას გაეცალნენ. აღნიშნულის შემდეგ „მ.პ.“-მ „მ.მ.“-სთან ერთად გადაწყვიტა ერთ-ერთი ებრაელი ტურისტის „ნ.პ.“-ს გაუპატიურება და თვალის დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად დაახლოებით 5 წუთის შემდეგ დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე, იარაღი მიაბჯინა „მ.მ.“-ს „ნ.პ.“ კი „მ.მ.“-ს დახმარებით იძულებით გამოიყვანა 4-5 მეტრის მოცილებით, ტყის მასივისკენ, წააქცია მიწაზე და დაუწყო შარვლის გახდა და შეეცადა გაუპატიურებას. „ნ.პ.“-მ გაუნია წინააღმდეგობა, ატეხა ყვირილი, რის შემდეგაც „მ.პ.“-მ და „მ.მ.“-მ მიატოვეს შემთხვევის ადგილი და მიიმალნენ.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განაჩენით შევიდა ცვლილება, რომლიც საერთოდ არ ეხებოდა გაუპატიურების მცდელობის ნაწილს. ამდენად სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ბორჯომის რაიონული სასამართლოს პოზიცია და ზემოთხსენებული პირები ცნობილ იქნენ დამნაშავეებად სსკ-ის 19, 137-ე მუხლის მე-3 ნაწილი „გ“ ქვეპუნქტითაც, რაც არ არის გასაზიარებელი.¹⁰⁷

პირველ რიგში უნდა ვთქვათ, რომ სსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გაუპატიურება, ეს არის პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. მუხლის ფორმულირება ისე წარმოდგენილი, რომ ის შედეგის დადგომას აუცილებლად არ მოითხოვს, ანუ

¹⁰⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება - <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

პირმა შესაძლოა სხეულში შეღწევის მიუხედავად ვერ შეძლოს დასახული მიზნის, სექსუალური აქტის, განახორციელება. ვინაიდან გაუპატიურება, იურიდიული თვალსაზრისით, დამთავრებულია სქესობრივი აქტის დაწყებიდან და გაუპატიურების დამთავრებულად ცნობისთვის, გარდა სქესობრივი აქტის დაწყებისა, საჭირო არ არის რაიმე სხვა მძიმე შედეგი, იურიდიულ ლიტერატურაში გაჩნდა მოსაზრება რომ იგი არის ფორმალური დანაშაული.¹⁰⁸ თუმცა ამის სანინაალმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ასეთ დროს დაზარალებულს ელახება სქესობრივი თავისუფლება, პატივი და ღირსება, რაც თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ მატერიალური შედეგის სახედ და შესაძლებლად ვცნოთ გაუპატიურების მომზადება და მცდელობა. იქ კი სადაც შესაძლებელია დანაშაულის მომზადება და მცდელობა, შესაძლებელია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხის განხილვა.

მეორეს მხრივ უკვე ყურადღება უნდა მივაქციოთ ბორჯომის რაიონული სასამართლოს განაჩენში მსჯელობის ნაწილს, წინააღმდეგობის განწევის ფაქტთან დაკავშირებით, სადაც ამ უკანასკნელმა მიიჩნია, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება განპირობებული იყო არა თავდამსხმელთა ნებით, არამედ გარეშე ფაქტორით, ამ შემთხვევაში „ნ.პ.“-ს დაუმორჩილებლობით. ფაქტია რომ გაუპატიურების დროს გაუპატიურების მსხვერპლი წინააღმდეგობას გაუწევს მოძალადეს, მაგრამ საინტერესოა ის, თუ რამდენად არის ეს წინააღმდეგობა გადაუღახავი, დაუძლეველი ბარიერი მოძალადესთვის. განსახილველი საქმის მასალებიდან ირკვევა, ის რომ „ნ.პ.“ მხოლოდ ყვიროდა და ითხოვდა შველას, თუმცა საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ასევე კარგად ჩანს ისიც, რომ თავდამსხმელთა და დაზარალებულთა რაოდენობრივი და ტექნიკური აღჭურვილობის გათვალისწინებით რეალური მშველელი და ხელის შემშლელი არ ჩანდა. მეტიც ერთ-ერთი ტურისტის „ი.ვ.“-ს ჩვენებიდან ირკვევა, რომ მათ დახმარების საშუალება არ ქონდათ, რადგან დამნაშავეთაგან ერთ ერთი თოფით ადგათ თავზე. ბორჯომის რაიონული სასამართლოს მსჯელობას იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოც, რომელიც ასევე მიუთითებს ნებაყოფლობით ხელის აღების შეუძლებლობაზე განსახლველ ეპიზოდში. სამართლიანობისთვის კი უნდა ითქვას, რომ საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. ლიტერატურაში. „მ.პ.“-სა და „მ.მ.“-ს

¹⁰⁸ ლეკვეიშვილი ლ., თოდუა მზია., მამულაშვილი გ., „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“ (წიგნი I) თბილისი 2011 გვ. 171-172

ქმედება, აღნიშნული მუხლის საფუძველზე, უნდა შეფასებულიყო სწორედ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად, ვინაიდან საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დაზარალებული „ნ.“-ის მხრიდან განეული ფიზიკური წინააღმდეგობა და ყვირილი არ შეიძლება ჩაითვალოს იმ ობიექტურ ხელის შემშლელ გარემოებად, რომელთა არებობის შემთხვევაში მსჯავრდებულები თავიანთ განზარაზხვას სისრულეში ვერ მოიყვანდნენ. პირიქით ამ უკანასკნელთ სრული შესაძლებლობა ქონდათ დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად, თუმცა გადაიფიქრეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. აღნიშნულ პოზიციას იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოც, რომელმაც განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დამთავრებული მცდელობის სტადიაზე დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღებას „მ.პ“-ს და „მ.მ.“-ს განაჩენიდან გამორიცხა საქართველოს სსკ-ის 19,137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება.

მსგავსს პრეცედენტს ვხვდებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 14 მაისის (საქმე: N 2კ-1129აპ-06) გადაწყვეტილებაშიც,¹⁰⁹ რომლიდანაც ირკვევა, რომ ხობის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 ივნისის განაჩენით „გ.წ“ მსჯავრებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 137-ე მუხლის პირველის ნაწილის საფუძველზე „თ.გ“-ს გაუპატიურების მცდელობისთვის, რაც გამოიხატა შემდეგში: „გ.წ“-ია 2005 წლის 29 ნოემბერს, დაახლოებით 13 საათზე, ხობის ერთ ერთ საშუალო სკოლასთან, ნათხოვარი ავტომანქანა „რენო-მოსკვიჩით“ შეხვდა „თ.გ“-ს და შესთავაზა გასეირნება, რაზედაც ეს უკანასკნელი დაეთანხმა. გარკვეული დროის შემდეგ მსჯავრდებულმა ავტომანქანა გააჩერა დაუსახლებელ ადგილას და „თ.გ“-ს შესთავაზა სქესობრივი კავშირი რაზედაც მიიღო უარი. „გ.წ“-მ „თ.გ.“ ძალადობითა და ძალადობის მუქარით გადაანვინა ავტომანქანის წინა სავარძელზე და დაუწყო კოცნა, თან აუწია მაგნიტოფონის ხმას „თ.გ“-ს კვილის ცასახმობად. „გ.წ“ ძალით ცდილობდა „თ.გ“-სათვის გაეხადა ჯინსის შარვალი, რაზედაც იგი უწევდა წინააღმდეგობას, კიოდა და უხმობდა მშველელს. „გ.წ“-ას ძალადობის შედეგად გაირღვა „თ.გ“-ას შარვლის ელვა შესაკრავი, მაგრამ ავტომანქანა აღმჩნდა მოუხერხებელი სქესობრივი კავშირის დასამყარებლად, რის გამოც მან ვერ შეძლო დაზარალებულთან ძალადობით სქესობრივი კავშირის დამყარება და „თ.გ“-ია ავტომანქანიდან ჩავიდა.

¹⁰⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება - <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

ხობის რაიონულმა სასამართლომ საქმის გარემოებათა შეფასებისას არ გაითვალისწინა მთელი რიგი გარემოებები, რაც მიუთითებდა გაუპატიურებაზე ხელის ალების შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნის მიხედვით, გ.წ.-ს მიერ დანაშაულის შეწყვეტის მიზეზი გახდა დაზარალებულის მხრივ წინააღმდეგობის განევა და სქესობრივი კავშირის დასამყარებლად ავტომანქანის სალონის მოუხერხებლობა. სააპელაციო სასამართლო სრულად იზიარებს ხობის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას და ცვლილება შეაქვს მხოლოდ სასაჯელის ნაწილში, რასაც ბუნებრივია ვერ დავეთანხმებით. აღნიშნულ ინსტანციებში საქმის განხილვისას არ იქნა გათვალისწინებული მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ბოლომდე მიყვანის ობიექტური შესაძლებლობის ხარისხი. კერძოდ, პირველ რიგში ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ მსჯავრდებულმა მანქანა გააჩერა უკაცრიელ ადგილას, რაც ობიექტური თვალსაზრისით გამორიცხავდა დაზარალებულის გამოქომაგებისა და დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობას გარეშე პირთაგან, ეს კი „გ.წ.“ მოქმედების მეტ თავისუფლებას ანიჭებდა. მეორეს მხრივ დაზარალებული ფაქტია უწევდა წინააღმდეგობას მოძალადეს, მაგრამ იყო კი ეს, ფიზიკური კონდიციების გათვალისწინებით, საკმარისი ობიექტურ ხელის შემშლელ გარემოებად მიჩნევისთვის? სწორედ აქ უკვე პირველი ინსტანციის სასამართლო მიუთითებს მანქანის სალონის მოუხერხებლობაზე სქესობრივი აქტის განსახორციელებლად, მაშინ როდესაც საჭიროების შემთხვევაში, და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ იმყოფებოდნენ დაუსახლებელ, საზოგადოებისგან „ფარულ“ ადგილას, მსჯავრდებულს თავისუფლად შეეძლო დასახული მიზნის განხორციელება მანქანის სალონის გარეთაც. ამით იმის თქმა მინდა რომ „გ.წ.“-ს დანაშაულის დასრულების ობიექტური შესაძლებლობა ჰქონდა, და „თ.გ.“-სგან წინააღმდეგობის განევა და მანქანის სალონის არასათანადო მდგომარეობა არ უნდა იქნეს მიჩნეული იმ დაუძლეველ, დამაბრკოლებელ გარემოებად, რომელიც გამორიცხავდა ნებაყოფლობით ხელის ალების ფაქტს. მეტიც ყურადღება, უნდა მივაქციოთ იმას, რომ „თ.გ.“, რომელიც არ დამორცილდა „გ.წ.“-ს ტავისუფლად ცადის ავტომობილიდან, და როგორც თვით დაზარალებულის ჩვენებიდან ირკვევა, ცოტა ხნის შემდეგ კვლავ თავისავე ნებით უჯდება მსჯავრდებულს ავტომობილში და ერთად ტოვებენ შემტხვევის ადგილს, ისე რომ „გ.წ.“-ს მის მიმართ ძალადობის განზახვა აღარ გამოუმულავნებია. სესაბამისად მსჯავრდებულის ქმედებაში სეგვიძლია დავინახოთ საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის შემადგენლობის ნიშნები. კერძოდ: დანაშაული არ იქნა ბოლომდე მიყვანილი და ის შეწყდა მცდელობის ეტაპზე. მეორეც, ხელის

აღება იყო საბოლოო, ვინაიდან მას აღარ გამოუმუღავნებია და აღარ უცდია ძალადობრივი ქმედებისთვის მიემართა და ბოლოს, რაც არ გაითვალისწინა არც ხობი რაიონულმა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებმა, ხელის არება განხორციელდა ნებაყოფლობით, ყოველგვარი ხელის შემშლელი „ობიექტური“ გარემო ფაქტორების გარეშე. ქვედა ინსტანციის სასამართლოთა პოზიცია სამართლიანად იქნა უარყოფილი საკასაციო სასამართლოს მიერ, რომელმაც მითითა სწორედ ჩვენს მიერ გამოკვეთილ გარემოებებზე „გ.წ“ გაათავისუფლა საქართველოს სსკ-ის 19, 137-ე მუხლის პირველი ნაწილით წაყენებული ბრალდებისგან ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, თუმცა ვინაიდან სსკ-ის 21-ე მუხლის მეორე ნაწილი არ ათავისუფლებს პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში თუ მის მიერ ფაქტობრივად განხორციელებული ქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს, „გ.წ.“ პასუხისმგებლობაში მიეცა სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით სექსუალური ხასიათის ძალდატანებითი ზემოქმედებისთვის.¹¹⁰

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მსჯავრდებულ „გ.წ.“-ს ბრალდების საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას დაუშვა საქართველოს სსსკ-ის 564-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა - სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ მსჯავრდებულ „გ.წ.“-ას მიმართ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც, იმავე კოდექსის 562-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გახდა კიდევ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის საფუძველი.

მომდევნო წლებში შედარებით დაიხვეწა სასამართლო პრაქტიკაში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის კვალიფიკაციის საკითხი. მართალია იდეალურიდან შორს ვართ, თუმცა ბოლო პერიოდში იმატა გადაწყვეტილებების თეორიულად დასაბუთების ხარისხმა და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაც განმარტებულია მაქსიმალურად ისე, როგორც ეს მეცნიერულ ნაშრომებშია გადმოცემული. ამის ნათელ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საკასაციო სასამართლოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის მარტის განაჩენი, რომელმაც გაირა როგორც სააპელაციო ისე უზენაეს ინსტანციაში და ორივე ზემო ხსენებულმა სასამართლომ გადაწყვეტილება განაჩენის ნაწილში დატოვა უცვლელი.

¹¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება - <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს (საქმე: N 2კ-174აპ.-18) გადაწყვეტილებით¹¹¹ დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი საერთოდ არ იქნა ცნობილი დასაშვებად. საქმის ფაქტობრივი გარემოებებით ირკვეოდა, რომ „ტ.გ.“-მ დაითანხმა მეგობრები „ლ.კ.“ და „ი.ლ.“ თავისი ნათესავის „მ.მ.“-ს ბინაში უკანონო შეღწევაზე და ფარულად დაუფლებოდნენ ამ უკანასკნელის კუთვნილ ფულსა და სხვა ნივთებს. „ტ.გ.“-მ გვემის სისრულეში მოსაყვანად, როგორც ორგანიზატორმა, გადაუნაწილა როლები მეგობრებს, ასევე აჩვენა მათ „მ.მ.“-ს სახლი და დაარიგა, თუ როგორ მოეპოვებინათ მისი ნდობა და განუმარტა, სად ინახებოდა თანხა, რომელიც ბინიდან უნდა წაეღოთ.

შეთანხმებისამებრ, 2016 წლის 13 ივლისს, დრის საათებში, „ლ.კ.“ და „ი.ლ.“ თითქოს ბუნებრივი აირის მიმწოდებელი კომპანიის თანამშრომლები, მოტყუებით შევიდნენ „მ.მ.“-ს საცხოვრებელ სახლში. „მ.მ.“-მ „ლ.კ.“ და „ი.ლ.“ არ დატოვა უმეთველყურეოდ, რის გამოც მათ საძინებელ ოთახში შეუმჩნევლად შეღწევის შესაძლებლობა არ მიეცათ. ამის შემდეგ „ლ.კ.“-მ „მ.მ.“-ს პირზე აათარა ხელი, ხოლო „ი.ლ.“ გავიდა ბინიდან და „ლ.კ.“-ს დაელოდა გარეთ, თავიანთ ავტომანქანასთან. ქურდობის დათარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, „ლ.კ.“-მ „მ.მ.“-ს თავზე ჩამოაცვა პოლიეთილენის პარკები და მოგუდა. ამის შემდეგ „ლ.კ.“ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა „მ.მ.“-ს ოჯახში არსებულ თანხას - 210 ლარს და სხვადასხვა სახეობის სამკაულს და ვიდეოკამერას, ერთობლივად ღირებულს 735 ლარად, ხოლო 30000 აშშ დოლარს (რომელიც ეროვნული ბანკის იმდროინდელი კურსით შეადგენდა 70239 ლარს) ვერ მიაგნო, რითაც სისრულეში ვერ მოიყვანა საკუთარი, „ი.ლ.“-სა და „ტ.გ.“-ს განზრახვა - მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდნენ დიდი ოდენობით ფულად თანხას.

თავის საჩივარში დაცვის მხარე მიუთითებდა, „ტ. გ.“-ს მიერ, წარუმატებელი მცდელობის გამო, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაზე. დაცვის მხარის განმარტებით, ტ. გ.“ -სთვის ასევე არ იყო ცნობილი, რომ „ლ. კ.“ და „ი.ლ.“ ჩაიდენდნენ დანაშაულს, რადგან „ი. ლ.“ არ დათანხმდა შეთავაზებას დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობაზე. სააპელაციო პალატამ სამართლიანად არ გაიზიარა დაცვის მხარის არგუმენტები და მიუთითა საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის პირველ ნაწილზე,¹¹² რომლის თანახმად, პირს არ დაეკისრება

¹¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება - <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

¹¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება - <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აითო ხელი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს არ დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მათ გადაარწმუნეს ამსრულებელი, დროულად შეატყობინეს ხელისუფლების ორგანოს ან სხვაგვარად შეუძალეს ხელი ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა. განსახილველ ეპიზოდში კი არ ჩანს, რომ „ტ. გ.“ გამოთიშულია მოვლენათა განვითარების ჯაჭვს. საქმის მასალებიდან არც ერთი დეტალი არ მიუთითებს, რომ „ტ. გ.“ საკუთარი ნებით უარს ამბობდეს დანასაულის ჩადენაზე და სამუდამოდ გადაეფიქრებინოს „მ. მ.“-ს კუთვნილი თანხის მითვისება. მეტიც, თუნდაც დაცვის მხარის არგუმენტის დადასტურების შემთხვევაში, „ტ. გ.“-ს ქმედება მაინც ვერ ჩაითვლება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად, ვინაიდან არ დადგენილა ასევე გარემოებები, რომელიც მიუთითებდა „ტ. გ.“-ს მიერ ამსრულებლის გადარწმუნების თაობაზე, არ მომხდარა არც ხელისუფლების ორგანოსთვის დროულად შეტყობინება და არც სხვაგვარად ხელის შეშლა ამსრულებლისთვის, პირიქით, დადგენილი ფაქტია, რომ როგორც „ლ. კ.“-მ ისე „ი. ლ.“-მ ჩაიდინეს დაშასაული რომლის ორგანიზება განხორციელდა სწორედ „ტ. გ.“-ს მიერ.

ყურადღება უნდა მივაქციოთ ასევე კასატორის მოთხოვნის იმ ნაწილს სადაც ეს უკანსწინელი მიუთითებს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტზე წარუმატებელი მცდელობიდან გამომდინარე. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას სასჯელისაგან სუბიექტს ათავისუფლებს არა ყოველგვარი აცდენა დანაშაულებრივი შედეგისა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც პირის მოქმედების ნებაყოფლობითი აქტით არის განპირობებული, რომ პასუხისმგებლობის მოხსნის საკითხი მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს, როდესაც დამნაშავის წინაშე თავისუფალი არჩევანი იყო ან ბოლომდე მიეყვანა დანაშაული ან ხელი აეღო მასზე და მან ხელის აღება აირჩია.¹¹³ მაშასადამე გარეშე ძალების ზემოქმედება შედეგის არ დადგომაზე, მაშინ როდესაც პირის ნებელობითი ქცევა მიმართული იყო სულ სხვა შედეგისკენ ვერ იქნება განხილული, როგორც ხელის აღების ნებაყოფლობითი შემთხვევა. საქმის ფაქტობრივი გარემოებიდან ნათლად ჩანს, რომ დამნაშავეთა ქმედება მიმართული იყო დიდი ოდენობით თანხის მართლსაწინააღმდეგო გზით დაუფლებისკენ თუმცა იმის გამო რომ აღნიშნულ თანხას ვერ მიაგნეს, მათი თავდაპირველი მიზანი დარჩა მიუღწეველი,

¹¹³ წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი I., თბ. 2007., გვ 536

აქ კი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მუხლის გავრცელება საერთოდ საფუძველს გამოაცლიადა ამ ინსტიტუტის არსებობას და ეს იქნებოდა სსკ-ის ნორმის არასწორი გამოყენების მაგალითი. შედეგად საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კასატორის მოთხოვნის დაუშვებლად ცნობასთან დაკავშირებით და იმაზე მითითებით, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სრულად და ობიექტურად იქნა გამოკვლეული და შეფასებული საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და წარმოდგენილი მტკიცებულებები, მართებულად უნდა მივიჩნიოთ.

როგორც სასამართლო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე ჩანს, მიუხედავად იმისა რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლს არ განუცდია ძირეული ცვლილებები, ადრეულ პერიოდში შედარებით პრობლემური იყო დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმის გავრცელება ცალკეულ დანაშაულებრივ შემთხვევებზე და საკასაციო სასამართლოსაც უწევდა რიგი პრცედენტული გადაწყვეტილებების მიღება. შედარებით გვიანდელ პერიოდში დაიხვეწა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების პრაქტიკაში გამოყენების გზები და არნიშნულ ნომრას მიეცა ისეთი განმარტება როგორსაც ვხვდებით სამეცნირო ლიტერატურებში. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორი ლიბერალურიც არ უნდა იყოს ქვეყანაში სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა, მნიშვნელოვანია, რომ კანონი, რომელიც აუმჯობესებს როგორც დაზარალებულის, ისე დამნაშავის სამართლებრივ მდგომარეობას, სწორად და ერთმნიშვნელოვნად ზუსტად იქნეს გადმოტანილი რეალურ ცხოვრებაში.

დასკვნა

როგორც ვნახეთ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება რთული და კომპლექსური ფენომენია. იმისთვის რომ თანამედროვე სახე მიეღო ეს ინსტიტუტი ვითარდებოდა საუკუნეების განმავლობაში. შედეგად მივიღეთ „წამახალისებელი ნორმა“ რომელიც საკვებით პასუხობს არსებულ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას. ნაშრომში განხილულ იქნა იურიდიულ მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრებები და თეორიები ხელის აღების ნებაყოფლობითობასთან მიამრთებაში. დავინახეთ, რომ გაბატონებული „ოქროს ხიდის“ თეორიის თანახმად, ნებაყოფლობით ხელის აღების დროს, კანონდებელი დამნაშავეს თითქოსდა მართლაც ხიდს უგებს ქმედებამდელ სამართლებრივ სამყაროში დასაბრუნებლად, თუმცა სამართლიანობისთვის უნდა ითქვას ისიც, რომ ლიტერატურაში გამოთქმული სხვა თეორიების საფუძველზეც, ცალსახად იკვეთება ნებაყოფლობით ხელის აღების არსი და ბუნება.

ნაშრომში ნათლად იქნა ასევე წარმოჩენილი აღნიშნული ინსტიტუტის ადგილი და როლი დანაშაულის სისტემაში. ხაზგასმით იქნა მითითებული, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება უფრო პირის სასჯელისგან გათავისუფლების პერსონალური საფუძველია ვიდრე მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება.

განხილულ იქნა ასევე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების წინაპირობები და საზღვრები. ამ ეტაპზე მთავარ ყურადღების ობიექტს წარმოადგენდა ევენტუალური განზრახვით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი, რომელიც სამართლიანად იქნა უარყოფილი შესაბამისი მაგალითებით. ვინაიდან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია რა მხოლოდ მომზადებისა და მცდელობის სტადიაზე, ხოლო მომზადებისა და მცდელობის განხორციელება შეუძლებელია ევენტუალური განზრახვით, ბუნებრივია, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაც შეუძლებელია განხორციელდეს ევენტუალური განზრახვით. გარდა ამისა ვნახეთ, შეფასების საგანს წარმოადგენს კონკრეტულ შემთხვევებში ხელის აღებისთვის ორი უმნიშვნელოვანესი პირობის, ნებაყოფლობითობისა და საბოლოობის არსებობა. სსკ-ის 21-ე მუხლის მიზნებისთვის ნებაყოფლობითობა პირის ისეთი ნებელობითი ქცევით იქნა გაგებული, რომელზეც გავლენას ვერ ახდენს სხვა გარემო

ფაქტორები, ხოლო საბოლოოობის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი მიღებული გადაწყვეტილების სიმყარეს ეფუძნება.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი განხილულ იქნა ასევე საფრთხის შემქნელ დელიქტებთან მიმართებაში, აღნიშნული იმით იყო საინტერესო, რომ სისხლის სამართალში აღიარებული დოგმატიკის თანახმად დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია დანაშაულის მომზადების ან მცდელობის ეტაპზე, როცა დანაშაულებრივი შედეგი არ დამდგარა და დანაშაული არ იქნა დასრულებული, ხოლო საფრთხის შემქნელი დელიქტი, დანაშაულის მცდელობის სტადიაზე უკვე დამთავრებულია. მიუხედავად აღნიშნულ საკითხთან მიამრთებაშიც არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, რომელთა უმეტესობაც დელიქტის ბუნებიდან გამომდინარე შეუძლებლად მიიჩნევს დანაშაულის ბოლომდე განხორციელებისგან ხელის აღებას, ჩვენს მიერ გაზიარებულ იქნა ბატონი თ. ცქიტიშელის მოსაზრება, რომლის თანახმადაც ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის სრულებით უარყოფა ვერ იქნება გამართლებული. ვინაიდან ზოგიერთი საფრთხის შემქნელი დელიქტის მომზადება და მცდელობა შესაძლებელია, მათთან მიმართებაში ხელის აღბის შესაძლებლობაც არ უნდა გამოირიცხოს. აღნიშნული მოსაზრება გამყარებულია უკანონო აბორტის მაგალითით, რომელიც საკითხის კვლევისას შესაბამის თავში იქნა განხილული.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტზე მსჯელობა არაერთი მნიშვნელოვანი საკვანის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. ჩვენ ვსაუბრობთ სახელმწიფოს ხელში არსებულ ისეთ საშუალებაზე, რომლიც პრაქტიკაში სწორი ინტერპრეტაციის და გამოყენების შემთხვევაში ერთმნიშვნელოვნად ემსახურება როგორც დაზარალებული, ისე დამნაშავის სამართლებრივი ინტერესების დაცვას, რაც სამართლიანდა უნდა იქნეს კიდევ მიჩნეული თანამედროვე სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარი.

ბიბლიოგრაფია
გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 2019 წლის 29 მაისის მდგომარეობით

სამეცნიერო ლიტერატურა

ქართულენოვანი

1. თ.წერეთელი., სისხლის სამართლის პრობლემები ტ. I, თბ., 2007
2. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, „დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები” თბ., 2011
3. ლევან ხარანაული., დისერტაცია., დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯალობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2013
4. დ.სულაქველიძე., სამართალი, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, თბილისი 1980
5. დ.სულაქველიძე, დისერტაცია ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე, თბილისი 1992
6. თ. ცქიტიშვილი., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015

7. მ.ტურავა., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013
8. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008.
9. დ. სულაქველიძე, დანაშაულის მცდელობა და ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე, „სამართალი“, 1991, #3-4.
10. იოჰანეს ვესელსი., ვერნერ ბიოლკე., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაული და მისი აგებულება, თბილისის უნივერსიტეტი, თბილისი 2010
- 11.დ. სულაქველიძე., „დამხმარის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება“ ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ N1 თბილისი 1985
- 12.ცქიტიშვილი თ., ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის., ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ 2014, №4
- 13.გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები III ტომი, თბილისი., 2013
- 14.სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. სახელმძღვანელო, გ. ნაჭყეპიას და ი. დვალიძის რედაქტორობით, თბილისი, 2007
- 15.თ. წერეთელი., „დანაშაულის მომზადება და მცდელობა“ თბილისი 1961
- 16.ლევკვიშვილი ლ., თოდუა მზია., მამულაშვილი გ., „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“ (წიგნი I) თბილისი 2011
- 17.გეგელია თ., სადისერტაციო ნაშრომი., „ დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები“ თბილისი 2018

სამეცნიერო ლიტერატურა

უცხოური

18. *Leipziger Kommentar StGB*, მე-12 გამოცემა, ტომი I, §1-31, Berlin, 2007

19. *Лившиц В. К.*, К вопросу о понятии эвентуального умысла, журнал "Советское государство и право" №7, 1947
20. *Трайнин А.Н.*, Общее учение о составе преступления, Москва, 1957
21. *Лясс Н. В.*, Стадии преступной деятельности по советскому уголовному праву, Автореферат диссертации, Ленинград, 1952
22. *Baumann J., Weber U., Mitsch W.*, Strafrecht Allgemeiner Teil, Lehrbuch, მე-11 გამოცემა, Bielfeld, 2003

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები
სისხლის სამართლის საქმეებზე

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება -
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx> (საქმის N 2კ-1273აპ.-08)
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება -
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx> (საქმის N 2კ-1284აპ.-08)
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება -
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx> (საქმის N 2კ-1129აპ-06)
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება -
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx> (საქმის N 2კ-174აპ.-18)